პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 239 (10936)

ოთხშაბათი, 9 ოქტომბერი, 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინგლისის პარლამენტის წევრები ს. ოსბორნი და გ. კერბი (1-ლი გვერდი).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად. (1-ლი გვერდი).

საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების რესპუბლიკური თათბირი (1-ლი გვერდი).

დაღისტნელ მშრომელთა დელეგაცია საქართველოში (1-ლი გვერდი).

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი საბჭოთა მეცნიერების უდიდესი წვლილია მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის საგანძურში. — დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის მოძრაობის შესახებ; მეცნიერების დიდი მიღწევა; ალმაატელებმა შეუიარაღებელი თვალით დაინახეს თანამგზავრი; დაკვირვება დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე; თანამგზავრის სიგნალებს რეგულარულად იღებენ; მეცნიერება, გონება, სოციალიზმი განუყრელად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი (მე-2 გვერდი).

ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის (მე-3 გვერდი).

მოსკოვის ტრანსპორტის ცენტრალური თეატრის გასტროლები თბილისში (მე-4 გვერდი).

ვ. გოლდფელდი. [illegible] მაყურებლის წინაშე (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საკოლმეურნეო წყობილების ზეიმი

ახლოვდება ბრწყინვალე დღესასწაული — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავი. საბჭოთა ადამიანები კანონიერი სიამაყის გრძნობით გადახედავენ ორმოცი წლის მანძილზე დიდი ოქტომბრის დროშით განვლილი ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომის სახელოვან გზას.

ისტორიულად მოკლე ვადაში საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით განახორციელა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.

ლენინური კოოპერაციული გეგმის მიხედვით განხორციელებულ იქნა სოფლად მთლიანი კოლექტივიზაცია. სოფლად შეიქმნა ახალი, სოციალისტური წყობილება. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია მოასწავებდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მთელი გლეხობის ცხოვრებისა და ყოფის საფუძვლის ღრმა გარდაქმნას, ბედნიერი ცხოვრების დამკვიდრებას სოფლად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველი ხალხი გახდა მიწისა და მისი ბუნებრივი სიმდიდრის სრულუფლებიანი პატრონი, სრული შესაძლებლობა მიეცა ფართოდ გამოეყენებინა მდიდარი რესურსები სახალხო მეურნეობის აღორძინებლად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში კავკასიის კომუნისტებისადმი გაგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინი მითითებას იძლეოდა: „მთელი ძალღონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი, მორწყვა... მორწყვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა ავამაღლოთ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა რადაც უნდა დაჯდეს...

ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტროფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას".

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სწორად განსაზღვრეს ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის და კერძოდ სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების გზები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საკავშირო მთავრობის უდიდესი მზრუნველობის მეოხებით საქართველოში შეიქმნა მძლავრი სუბტროპიკული მეურნეობა. ამჟამად ჩაის კულტურას საქართველოში უკავია 66.000 ჰექტარზე მეტი ფართობი. ჩაი გახდა სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა შესაძლებლობის ძირითადი წყარო. 1957 წლის 6 ოქტომბრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 106.079,4 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ეს მაშინ, როცა 1913 წელს საქართველოში დამზადდა 551,1 ტონა ნედლეული. ამჟამად საბჭოთა კავშირში საქართველო ითვლება ჩაის ძირითად მწარმოებელ რესპუბლიკად. რესპუბლიკაში ფართოდ განვითარდა ციტრუსოვანთა მეურნეობა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფართოდ განვითარდა საქართველოში მევენახეობა და მებაღეობა. ვენახებს ახლა უკავიათ 60.616 ჰექტარი. დიდია ჩვენში მევენახეობის განვითარების პერსპექტივები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საჭიროდ ცნო ვენახების ფართობები 1960 წელს რესპუბლიკაში აყვანილ იქნას 80.000 ჰექტარამდე, ხოლო 1965 წელს — 120.000 ჰექტარამდე. ამჟამად ხეხილის ბაღებს უკავიათ 109.687 ჰექტარი. 1913 წელს საქართველოში იყო მხოლოდ 30.795 ჰექტარი ხეხილის ბაღი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში განხორციელდა დიდი საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოები. ამჟამად სარწყავი ფართობები 320.000 ჰექტარია, ამოშრობილ იქნა 101.000 ჰექტარი დაჭაობებული მიწები, რომლებზეც ახლა კოლმეურნეობებს უხვი მოსავალი მოჰყავთ.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში უდიდეს როლს ასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებანი. ყოველი მშრომელი ადამიანის გულს ახარებს მეცხოველეობის დარგში მოპოვებული წარმატებანი. საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება, რომ წარმატებით განხორციელდეს კომუნისტური პარტიის მიერ დასახული საბრძოლო ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. სოციალისტური შეჯიბრების პირველი შედეგები მოწმობენ, რომ ნაკისრი ვალდებულება წარმატებით სრულდება. რესპუბლიკაში მიმდინარე წლის რვა თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მიღებულია 15.500 ტონით მეტი რძე.

პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის უკანასკნელ წლებში განხორციელებულ ღონისძიებათა დიდ შედეგებს ნათლად ხედავს და გრძნობს თვითეული საბჭოთა ადამიანი. მაგრამ ამ ღონისძიებების განხორციელებას ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფი. ამ ჯგუფის მხილებამ ხელი შეუწყო ჩვენი პარტიის რიგების ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას, მისი გენერალური ხაზისათვის ბრძოლის საქმეს.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა, მექანიზატორებთან და სოფლის ყველა მშრომელთან ერთად, იყენებს რა წლების მანძილზე შეძენილ მდიდარ გამოცდილებას, შესანიშნავი მიღწევებით ხვდება დიდი ოქტომბრის სახელოვან მე-40 წლისთავს. ამ წარმატებებს კოლმეურნეები უმადლიან კომუნისტურ პარტიას, რომლის ბრძნულმა პოლიტიკამ მათ დაუმკვიდრა ბედნიერი, შეძლებული, კულტურული ცხოვრება.

მტკიცედ უჭირავს რა ხელთ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების დროშა, კოლმეურნე გლეხობა ყველა ღონისძიებას ხმარობს, რომ სახელოვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი და ღირსეული წვლილი შეიტანოს სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინგლისის პარლამენტის წევრები ს. ოსბორნი და გ. კერბი

ინგლისის პარლამენტის წევრებმა ს. ოსბორნმა და გ. კერბიმ, რომლებიც სსრ კავშირში იმყოფებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის მოწვევით, სთხოვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვს მიეღო ისინი საუბრისათვის.

8 ოქტომბერს ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ს. ოსბორნი და გ. კერბი და საუბარი ჰქონდა მათთან.

(საქდესი).

საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების რესპუბლიკური თათბირი

8 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საქტო დარბაზში გაიხსნა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების რესპუბლიკური თათბირი.

თათბირი გახსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, სკოლისა და კულტურის განყოფილების გამგემ ამხ. მ. ა. კვესელავამ.

მოხსენება რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ს. ღოლიძემ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგემ პროფესორმა ს. ბერაძემ, საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის პროფესორმა ე. ბურჯულაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლოგიკის კათედრის გამგემ პროფესორმა კ. ბაქრაძემ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილემ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. მახარაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა დოცენტმა ს. ლარცულიანმა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგემ დოცენტმა ს. სიმონგულოვმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა პროფესორმა შ. ნუცუბიძემ, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგემ დოცენტმა ა. დარახველიძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის მასწავლებელმა დოცენტმა ვ. ბახტაძემ, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის მასწავლებელმა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. მაჭავარიანმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სკოლის განყოფილების გამგის მოადგილე დ. მ. კუკინი.

თათბირი განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

★ ★

რ უ ს თ ა ვ ი. ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მოწინავე ჩქაროსანმა მეფოლადემ შ. შუბითიძემ წლის დასაწყისიდან გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცა 1.000-ზე მეტი ტონა ფოლადი. ამ პერიოდში შ. შუბითიძემ განახორციელა ფოლადის 116 ჩქაროსნული დნობა. ს უ რ ა თ ზ ე: ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ჩქაროსანი მეფოლადე შ. შუბითიძე მუშაობის დროს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

გამარჯვების ვარსკვლავები

ყოველ დღე, როცა მოსაღამოვდება ტყიბულქვანახშირის ტრესტის ყველა შახტზე წითელი ვარსკვლავები ინთება. ეს არის მეშახტეთა საწარმოო გამარჯვების ნიშანი. მას ანთებენ მაშინ, როცა შახტი შეასრულებს ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო გეგმას. მიმდინარე წლის დასაწყისიდან გამარჯვების ვარსკვლავები ჩაუქრობლად ბრწყინავს ლენინის სახელობის, სტალინის სახელობის და გელათის შახტებზე.

განსაკუთრებით მძლავრი შრომითი აღმავლობაა ტყიბულის შახტებში ახლა, როცა გვიახლოვდება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავი. მეშახტეები დღითიდღე ზრდიან ქვანახშირის ამოღებას, შრომის ნაყოფიერებას, ამრავლებენ წარმატებებს.

აი ლენინის სახელობის შახტი. მთის გულიდან დღედაღამ განუწყვეტელ ნაკადად მოედინება ქვანახშირი, შახტის კოლექტივმა, რომელიც საქართველოს მეშახტეთა შორის საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორია, სასახელოდ გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება — ამოიღო ორჯერ მეტი ქვანახშირი, ვიდრე მას ნაკისრი ჰქონდა. გასულ წელთან შედარებით 18 პროცენტით გაიზარდა ქვანახშირის ამოღება, მკვეთრად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. მეშახტეები დღე-ღამეში 18-14 პროცენტით მეტ ქვანახშირს იღებენ, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. ის უბანი, რომელსაც ლ. ვაშაკიძე ხელმძღვანელობს, ოქტომბრის მეხამე დეკადის ანგარიშში მუშაობს. შახტის კოლექტივი უკვე მეხუთე თვეა ფლობს საკავშირო გარდამავალ დროშას.

შესანიშნავი წარმატებები აქვს აგრეთვე სტალინის სახელობის შახტის კოლექტივს, რომელმაც წლის დასაწყისიდან გეგმის გადამეტებით 20 ეშელონზე მეტი ქვანახშირი გაუგზავნა ქარხნებს. შარშანდელთან შედარებით წელს თვითეული ტონა ქვანახშირის თვითღირებულება 3 მანეთითა და 15 კაპიკით შემცირდა. დაზოგილია მილიონ მანეთზე მეტი.

მთლიანად ტყიბულქვანახშირის ტრესტს საოქტომბროდ ნაკისრი ჰქონდა წლიური გეგმის გადამეტებით ამოეღო 20 ათასი ტონა ქვანახშირი. ეს ვალდებულება უკვე განაღდებულია.

სტალინის სახელობის შახტში გადაჭარბებით შეასრულეს გაყვანის სამუშაოები. მეორე კვარტალში საექსპლოატაციოდ გადაეცა ქვანახშირის მეხუთე ველი. ცოტა გვიან მწყობრში ჩადგა მეშვიდე და მერვე საექსპლოატაციო ველები. ამჟამად მზადდება კიდევ ერთი ახალი ველი.

წელს შახტებში განხორციელდა მთელი რიგი სიახლენი, რამაც დიდად გააადვილა მეშახტეთა მუშაობა, გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

მონაწილეობს რა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ასობით მეშახტე შესანიშნავ შრომით გამარჯვებებს აღწევს. მნგრეველი ო. ცეცხლაძე ცვლაში ერთნახევარ-ორ ნორმას ასრულებს. მებიგე ა. რადიმინი მომავალი წლის აგვისტოს ანგარიშში მუშაობს. დღესასწაულს პირნათლად ხვდებიან აგრეთვე მეშახტეები ა. კუბლაშვილი, ა. ხორხომელიძე, ა. ბაკურაძე, ვ. ღვინეფაძე.

გაზეთ „ტყიბულის მაღაროელის" რედაქცია, „კომუნისტის" კოლექტიური კორესპონდენტი.

ქართული მარმარილო

დღე და ღამე არ წყდება მარმარილოს სახეხი და საჭრელი მანქანების გუგუნი, თავდადებით შრომობენ თბილისის ქვის დამმუშავებელი კომბინატის მუშები, რათა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს საუკეთესო შრომითი მიღწევებით შეეგებონ.

საწარმოს კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმა 114,3 პროცენტით შეასრულა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით 1.086.000 მანეთის პროდუქცია მისცა. ამით ქვის დამმუშავებლებმა უკვე შეასრულეს საოქტომბროდ ნაკისრი ვალდებულება.

წლის დასაწყისში ქვის დამამუშავებელ საამქროში დაიდგა მარმარილოს სახეხ-შემომჭრელი დაზგები, რომლებსაც ძველ მანქანებთან შედარებით 15 პროცენტით მეტი წარმადობა აქვთ. ამავე საამქროში იდგმება იქლარის ქვის სახეხი დანადგარი. იგი ერთიორად გაზრდის პროდუქციის გამოშვებას.

საუკეთესო საწარმოო მიღწევებისათვის ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა ქვის დამუშავებისა და შეწებების საამქროს კოლექტივს.

მახარაძის რაიონმა შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმა

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა, რომლებიც წარმატებით ასრულებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს, 7 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა.

ხორცის დამზადების გეგმა რაიონმა შეასრულა 100,3 პროცენტით, რძისა — 100,2 პროცენტით, კვერცხისა — 100,1 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება და შესყიდვა გრძელდება.

(საქდესი).

ჩვენი დოვლათი

დიდი ოქტომბრის შუქმა ხალხებს ბედნიერება მოუტანა. მთის პატარა სოფელი კიწიაც გამოიცვალა, გალამაზდა, მისი მცხოვრებნი ლაღად, თავისუფლად ცხოვრობენ და შრომობენ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა 400-მდე კომლს აერთიანებს. კიწიელებს უყვართ ჩაის კულტურა, რომლის მოსავლიანობას სისტემატურად ზრდიან. წლიური გეგმით გათვალისწინებული 116 ტონის ნაცვლად 120 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოვკრიფეთ.

მეცხოველეობა აღმავლობის გზაზეა. უკვე შესრულებულია პირუტყვის სულადობის ზრდის წლიური დავალება, რძის მიღების გეგმა, გავანაღდეთ სახელმწიფო დავალებანი პროდუქტების დამზადების დარგში. რეზერვების გამოვლინებით მივაღწიეთ იმას, რომ თუ 1944 წელს 1 კილოგრამი რძე 7 მანეთი გვიჯდებოდა, ამჟამად მის მიღებაზე მხოლოდ 1,8 მანეთს ვხარჯავთ. ამას მივაღწიეთ იაფი საკვების საჭირო ბაზის შექმნით, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით. ამ საქმეში სერიოზული წვლილი შეიტანეს კოლმეურნეობის მეცხოველეებმა შ. სალუქვაძემ, ა. ბერიამ და სხვებმა.

გაიზარდა შრომადღის ღირებულება. წინათ თვითეულს უწევდა 5-6 მანეთი, წელს კი შრომადღეზე უკვე გავეცით ავანსად 12 მანეთი. შემოსავლის ზრდამ საშუალება მოგვცა აგვეგო მეცხოველეობის ფერმის კაპიტალური შენობა, კანტორა, სასიმინდეები და სხვა საჭირო ნაგებობანი. ჩვენი სოფელი რადიოფიცირებულია.

პ. ბეჟვაია,

გეგეჭკორის რაიონის სოფელ კიწიის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

გულრიფშის რაიონის სოფ. დრანდის კოლმეურნეობა „ახალი სოფლის" მეთამბაქოეთა შორის სახელი გაითქვა თამარ ლემონჯავამ. მას ვალდებულება ჰქონდა აღებული მისთვის მოსავლელად მიჩენილ 0,48 ჰექტარ ნაკვეთზე შეეტეხა 7.980 ზონარმეტრი თამბაქო. 25 სექტემბრისათვის თ. ლემონჯავამ გადაჭარბებით შეასრულა აღებული ვალდებულება და იკისრა სეზონის დამთავრებამდე ჩააბაროს სახელმწიფოს 11 ათასი ზონარმეტრი თამბაქო. ს უ რ ა თ ზ ე: მოწინავე მეთამბაქოე თ. ლემონჯავა ამოწმებს თამბაქოს ფოთლის შრობის ხარისხს.

ფოტო ნ. ჯომიდავასი.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

★

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

ხაშური. (საკ. კორ.). 4 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე ხაშურის რკინიგზის მუშაკთა კულტურის სახლში თავი მოიყარეს ხაშურის რკინიგზის კვანძის საწარმოების რკინიგზელებმა, რაიონის პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა. ისინი შეიკრიბნენ იმისათვის, რომ აღენიშნათ საბჭოთა კავშირში პირველი ელექტროფიცირებული ხაზის — სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის 25 წლისთავი. ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსული იყო ბევრი სტუმარი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ქორელიძემ. სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის 25 წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა დ. მამაცაშვილმა.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა ამიერკავკასიის რკინიგზელების თავდადებულ შრომაზე და მიღწევებზე, იმ უდიდეს ცვლილებებზე, რაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა.

საზეიმო სხდომაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ სსრ კავშირის გზათა მინისტრის მოადგილე ვ. გარნიკი, ლენინაკანის ელექტროდეპოს უფროსი გ. ზადიკიანი, ომსკის რკინიგზის წარმომადგენელი ვ. გრეკოვი, თბილისის საელმავლო დეპოს ძველი მემანქანე გ. კასრელიშვილი, ზესტაფონის საკონტაქტო ქსელის დისტანციის უფროსი შ. ორჯონიკიძე, ზესტაფონის საელმავლო დეპოს მემანქანე მ. აბესაძე, ხაშურის სალოკომოტივო დეპოს ადგილკომის თავმჯდომარე გ. თუთისანი.

საზეიმო სხდომის დასასრულს გაიმართა კონცერტი.

ხალხთა მეგობრობის დროშით

დაღისტნელ მშრომელთა დელეგაცია საქართველოში

დღითიდღე უფრო ფართოდ ჩაღდება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ახალ წარმატებებს აღწევენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

ამ კეთილშობილურ მიზანს ემსახურება საქართველოს სსრ დუშეთის რაიონისა და დაღისტნის ასსრ გუნიბის რაიონის მშრომელთა ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება. დუშელი და გუნიბელი კოლმეურნეები ხალხთა დიადი მეგობრობის დროშით თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებასა და მეცხოველეობის აღმავლობაში.

დუშელი და გუნიბელი მეგობრები დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის წინადღეებში კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. 8 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა გუნიბის რაიონის მშრომელთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან: პარტიის გუნიბის რაიკომის მეორე მდივანი მ. გაზილალიევი (დელეგაციის ხელმძღვანელი), სოფელ ბუხტის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. რამაზანოვი, სოფელ რუღჯის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. აზიზოვი, კომკავშირის გუნიბის რაიკომის მეორე მდივანი ფატიმათ რასულოვა, სოფელ ჰოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი ამინათ ახმედოვა და გაზეთ „დაგესტანსკაია პრავდის" სპეციალური კორესპონდენტი ა. სამედოვი.

ძვირფას სტუმრებს თბილისის ვაგზალზე შეხვდნენ: პარტიის დუშეთის რაიკომის მეორე მდივანი გ. ზოტიკიშვილი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. მწითური, პარტიის რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში ა. ჩოხელი, მტს-ის დირექტორი ა. მანუკოვი, გუდამაყრის და მლეთის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ნ. მეფურიშვილი, ხ. პეტრიაშვილი, ცნობილი მწველავი ილენე პირმისაშვილი, მლეთის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ნაზღაიძე, რაიონის მთავარი ვეტექიმი ს. ბახტაძე და სხვები.

გუნიბელი მეგობრები დუშეთში რამდენიმე დღეს დარჩებიან. ისინი შეამოწმებენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, გაეცნობიან კოლმეურნეობათა მუშაობას, მოწინავე გამოცდილებას. მოხდება ახალი ვალდებულებების აღება და სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გაფორმება 1958 წლისათვის.

დაღისტნელი სტუმრების შესახვედრად დუშეთში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — წერია ალისფერ ფარჩაზე ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, რომელიც საზეიმოდ არის მორთული. გაიმართა სახელდახელო მიტინგი.

— დღეს, — ამბობს დუშეთის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. მწითური, — ჩვენი რაიონის მშრომელებს ეწვივნენ ძვირფასი სტუმრები — დაღისტნის ასსრ გუნიბის რაიონის კოლმეურნეთა დელეგაცია, რომელსაც სულით და გულით მივესალმებით. ვუსურვებთ დაღისტნელ და ქართველ ხალხებს გამარჯვებას იმ დიდი ამოცანების წარმატებით შესრულებაში, რაც მათ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დაუსახეს.

ტრიბუნაზეა საქართველოს კპ დუშეთის რაიკომის მდივანი ა. ჩოხელი. იგი ლაპარაკობს დაღისტნისა და საქართველოს ორი რაიონის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების სასიხარულო შედეგებზე.

სიტყვები წარმოთქვეს დუშეთის რაიონული საავადმყოფოს მთავარმა ქირურგმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. კოლულაშვილმა, დუშეთის საშუალო სკოლის მოსწავლემ მ. არუთინოვამ, სოფელ ჭართლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. დანელიამ და ზოოვეტტექნიკუმის მსმენელმა ბ. ბულალაშვილმა.

დაღისტნელ კოლმეურნეთა სახელით სიტყვით გამოვიდა დელეგაციის მეთაური, პარტიის გუნიბის რაიკომის მდივანი მაჰომედ გაზილალიევი.

პირველ დღეს სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქ დუშეთის ღირსშესანიშნაობანი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: დაღისტნის ასსრ გუნიბის რაიონის მშრომელთა დელეგაციასთან შეხვედრა თბილისში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი საბჭოთა მეცნიერების უდიდესი წვლილია მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის საგანძურში

* *

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის მოძრაობის შესახებ

ხელოვნური თანამგზავრის გაშვების მომენტიდან უკვე ორნახევარ დღე-ღამეზე მეტი გავიდა. 8 ოქტომბერს 6 საათისათვის მოსკოვის დროით, თანამგზავრმა 46-ჯერ შემოუარა დედამიწას. მის ფრენას თვალყურს ადევნებენ მრავალი სამეცნიერო სადგური, ასტრონომები და რადიომოყვარულები.

დაკვირვება წარმოებს არა მარტო თანამგზავრზე, არამედ აგრეთვე მის მატარებელ რაკეტზე, რომლის დახმარებით თანამგზავრი გაყვანილია ორბიტში. მატარებელი რაკეტი ამჟამად აგრეთვე ბრუნავს დედამიწის გარშემო დაახლოებით იმავე სიმაღლეზე თანამგზავრიდან თითქმის ათასი კილომეტრის მანძილზე. მანძილი მათ შორის შემდგომში შეიცვლება.

განუწყვეტლივ წარმოებს დაკვირვებათა და სპეციალურ განზომილებათა დაგროვებული მასალის დამუშავება.

8 და 9 ოქტომბერს თანამგზავრის მოძრაობაზე დაკვირვების წარმოებისათვის გადმოგცემთ დედამიწის იმ ძირითადი პუნქტების სიას, რომლებსაც თანამგზავრი გადაუვლის (მოსკოვის დროით):

8 ოქტომბერი

ოკლენდი — 11 საათი და 04 წუთი, ჰონოლულუ — 11 საათი და 20 წუთი, კორალ-ჰარბორი — 11 საათი და 36 წუთი, მელბურნი — 12 საათი და 38 წუთი, კუნძული ნიუფაუნდლენდი — 13 საათი და 21 წუთი, კემპის მიწა — 14 საათი და 02 წუთი, მარიანის კუნძულები — 14 საათი და 32 წუთი, ოტავა — 14 საათი და 57 წუთი, ნიუ-იორკი — 14 საათი და 59 წუთი, რიო-დე-ჟანეირო — 15 საათი და 18 წუთი, ჯაკარტა — 16 საათი და 01 წუთი, მანილა — 16 საათი და 07 წუთი, ხიროსიმა — 16 საათი და 12 წუთი, იუჟნო-სახალინსკი— 16 საათი და 16 წუთი, პანამა — 16 საათი და 45 წუთი, რანგუნი — 17 საათი და 44 წუთი, ლანჯოუ — 17 საათი და 49 წუთი, ოხოტსკი — 17 საათი და 56 წუთი, სან-ფრანცისკო — 18 საათი და 12 წუთი, ბომბეი — 19 საათი და 20 წუთი, დელი — 19 საათი და 24 წუთი, ირკუტსკი — 19 საათი და 30 წუთი, ვილიუისკი — 19 საათი და 33 წუთი, გრეიამის მიწა — 20 საათი და 24 წუთი, აშხაბადი — 21 საათი და 02 წუთი, ბარაბინსკი — 21 საათი და 07 წუთი, კაირო — 22 საათი და 35 წუთი, კრასნოდარი — 22 საათი და 39 წუთი, სტალინგრადი — 22 საათი და 40 წუთი, კუიბიშევი — 22 საათი და 41 წუთი, სვერდლოვსკი — 22 საათი და 43 წუთი, ვილიუისკი — 22 საათი და 51 წუთი, სამხრეთ შეტლანდის კუნძულები — 23 საათი და 42 წუთი.

9 ოქტომბერი

ტუნისი — 0 საათი და 13 წუთი, რომი — 0 საათი და 15 წუთი, ბუდაპეშტი — 0 საათი და 16 წუთი, მინსკი — 0 საათი და 18 წუთი, მოსკოვი — 0 საათი და 19 წუთი, კოტლასი — 0 საათი და 21 წუთი, ხაბაროვსკი — 0 საათი და 33 წუთი, ტოკიო — 0 საათი და 37 წუთი, ლონდონი — 1 საათი და 54 წუთი, გეტებორგი — 1 საათი და 56 წუთი, არხანგელსკი — 1 საათი და 59 წუთი, ენისეისკი — 2 საათი და 05 წუთი, ულან-ბატორი — 2 საათი და 09 წუთი, პეკინი — 2 საათი და 12 წუთი, სიდნეი — 2 საათი და 35 წუთი, სანტ-იაგო — 3 საათი და 05 წუთი, შეტლანდის კუნძულები — 3 საათი და 33 წუთი, არხანგელსკი — 3 საათი და 38 წუთი, ომსკი — 3 საათი და 43 წუთი, კუნძული ბორნეო — 4 საათი და 01 წუთი, პანამა — 4 საათი და 53 წუთი, კუნძული ნიუფაუნდლენდი — 5 საათი და 05 წუთი, რეიკიავიკი — 5 საათი და 11 წუთი, პეტროზავოდსკი — 5 საათი და 17 წუთი, გორკი — 5 საათი და 18 წუთი, არალსკი — 5 საათი და 22 წუთი, სტალინაბადი — 5 საათი და 25 წუთი, ქაბული — 5 საათი და 26 წუთი, დელი — 5 საათი და 28 წუთი, დეტროიტი — 6 საათი და 39 წუთი, ოსლო — 6 საათი და 51 წუთი, ვილნიუსი — 6 საათი და 55 წუთი, მოსკოვი — 6 საათი და 56 წუთი, კიევი — 6 საათი და 57 წუთი, ქერჩი — 6 საათი და 58 წუთი, ბათუმი — 6 საათი და 59 წუთი, ბაღდადი — 7 საათი და 02 წუთი, ლოს-ანჟელოსი — 8 საათი და 12 წუთი, ვინიპეგი — 8 საათი და 18 წუთი, დორტმუნდი — 8 საათი და 33 წუთი, ვენეცია — 8 საათი და 35 წუთი, კუნძული მადაგასკარი — 8 საათი და 55 წუთი.

(საქდესი).

მეცნიერების დიდი მიღწევა

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს უფროსის მოადგილემ გ. გერსამიამ განაცხადა:

ცნობამ იმის შესახებ, რომ 1957 წლის 4 ოქტომბერს სსრ კავშირში წარმატებით იქნა გაშვებული დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის უდიდესი ყურადღება და აღფრთოვანება გამოიწვია. ვამაყობთ საბჭოთა მეცნიერების ამ უდიდესი მიღწევით.

დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე დაყენებულია მძლავრი რადიოგადამცემები, რომლებიც უწყვეტლივ გამოასხივებენ რადიოსიგნალებს. რადიოგადამცემების სიმძლავრე უზრუნველყოფს სიგნალების მკაფიო მიღებას. მრავალი რადიომოყვარული იღებს თანამგზავრის სიგნალებს ჩვენს რესპუბლიკაში. მაგალითად, „დოსააფის“ თბილისის რადიოკლუბის რადიომოყვარულებმა უკვე მიიღეს თანამგზავრის სიგნალი.

ცნობილია, რომ ატმოსფეროს ზედაფენები ჩვენი პლანეტის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებენ. მაღალი ფენების მოქმედება გავლენას ახდენს ტროპოსფეროში (ატმოსფეროს ქვედაფენა) ციკლონებისა და ანტიციკლონების განვითარებაზე, ოკეანეებში, ზღვებში და მდინარეებში წყლის დონეების რყევაზე და სხვა მოვლენებზე. ატმოსფეროს მაღალი იონიზებული ფენა, ე. ი. იონოსფერო უდიდეს გავლენას ახდენს რადიოტალღების გავრცელებაზე. ელექტრომაგნიტური პროცესები, რომლებიც წარმოიშობა და ვითარდება ატმოსფეროს საზღვარზე, ქმნის მაგნიტურ ქარიშხლებსა და პოლარულ ნათებებს.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტის შესწავლით შესაძლებელი იქნება მოინახოს ატმოსფეროს სტრუქტურული პარამეტრების განაწილების კანონი, რაც გულისხმობს ატმოსფეროს წნევის, ჰაერის ტემპერატურისა და სიმკვრივის, აგრეთვე ატმოსფეროს შემადგენლობის შესწავლას სხვადასხვა სიმაღლეზე. მარტო ამ ერთი საკითხის — ატმოსფეროს სტრუქტურული პარამეტრების შესწავლაც კი უდიდესი საგანძური იქნება მეტეოროლოგიისა და კერძოდ სინოპტიკური მეტეოროლოგიისათვის. იგი ხელს შეუწყობს ატმოსფეროს საერთო ცირკულაციის შესწავლას და ნათელს მოჰფენს ამინდის წინასწარმეტყველების საქმეს.

ალმაატელებმა შეუიარაღებელი თვალით დაინახეს თანამგზავრი

ალმა-ატა, 6 ოქტომბერი. (საქდესი). დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე დაკვირვებისა და მისი ტრაექტორიის გარკვევისათვის ალმა-ატაში ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ობსერვატორიასთან შექმნილია სამეცნიერო სადგური. სპეციალური ასტრონომიული ჭოგრიტებით და ძლიერი დურბინდებით შეიარაღებული დამკვირვებლები აწარმოებენ სისტემატურ დაკვირვებას, რომლის შედეგებს დაუყოვნებლივ გადასცემენ ასტრონომიულ საბჭოს მოსკოვში.

5 ოქტომბერს სრულ შუაღამეზე დედამიწის ხელოვნურმა თანამგზავრმა გადაუფრინა ალმა-ატას. მისი ფრენა შეუიარაღებელი თვალითაც კი მოჩანდა. აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ასტროფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ვ. ს. მატიაგინი:

— ამ დროს მე ვიყავი არა ჩვენს სამთო ობსერვატორიაში, არამედ შინ ქალაქში. მოვისმინე რა რადიოთი ცნობა ალმა-ატაზე დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ფრენის დაახლოებითი დროის შესახებ, მე, მიუხედავად იმისა, რომ გვიანი იყო, ქუჩაში გავედი. აქ უკვე იყო ბევრი მოქალაქე, რომლებიც აგრეთვე ელოდნენ თანამგზავრის გამოჩენას. ჩვენდა სასიხარულოდ 23 საათსა და 58 წუთზე ადგილობრივი დროით მაღლა იმიერილის ალატაუს ქედის თავზე დავინახეთ პატარა მოწითანო ვარსკვლავი. იგი მოძრაობდა სამხრეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და, მიუხედავად იმისა, რომ მთვარე ანათებდა, გარკვევით მოჩანდა შეუიარაღებელი თვალით შვიდი წუთის განმავლობაში. შემდეგ იგი სწრაფად მიიმალა.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი ამ დროს დაინახა პენსიონერმა ვ. პოპოვმა და ბევრმა ალმაატელმა, რომლებიც ქალაქის სხვადასხვა რაიონში ცხოვრობენ.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი გაშვებულია წარმატებით. სურათზე: მოსკოველი რადიომოყვარული — მოკლეტალღოსნები ა. კლიმაშინი, ბ. ზვერლოვი და კ. სეპი იღებენ სიგნალებს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრიდან.

ფოტო ვ. სმეტანინისა.

დაკვირვება დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე

ნოვოსიბირსკი, 7 ოქტომბერი. (საქდესი). მოკლეტალღოსან რადისტთა და მოყვარულ ასტრონომთა დიდი ჯგუფი ნოვოსიბირსკში აწარმოებს დაკვირვებას დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე. დღეს დაახლოებით ათ საათზე ადგილობრივი დროით მორიგე ოპერატორი, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რადიოკლუბის წევრი, კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი გენადი კასატკინი თხუთმეტი წუთის განმავლობაში იღებდა სიგნალებს თანამგზავრიდან. კლუბის წევრებმა უკვე ოცდაათჯერ მოუსმინეს მის რადიოსადგურებს.

ნოვოსიბირსკის გეოდეზიის, აეროფოტოგადაღებისა და კარტოგრაფიის ინჟინერთა ინსტიტუტთან შექმნილია დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე ვიზუალურ დაკვირვებათა სადგური. ინსტიტუტის შენობის უმაღლეს წერტილზე მოწყობილია ამმეტრიანი მოედანი, სადაც დადგმულია ასტრონომიული ხელსაწყოები. სადგურის უფროსმა ინჟინერ-გეოდეზისტმა ვ. ა. მერკუშევმა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ჩვენი სადგურის კოლექტივი წინასწარ მოემზადა დაკვირვებისათვის. ჩვენს მუშაობაში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებს მოყვარულ ასტრონომთა დიდი ჯგუფი, რომელთა შორის არიან ინსტიტუტის მასწავლებლები, სკოლების მასწავლებლები, სტუდენტები, მუშა ახალგაზრდობა. ჯერჯერობით ცის მდგომარეობა არ უწყობდა ხელს დაკვირვებებს, მაგრამ ყველანი მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ საშუალება მოგვეცემა დავინახოთ თანამგზავრი. მოყვარულ ასტრონომებს რეგულარული კავშირი აქვთ მოყვარულ რადისტებთან, რომლებიც დაახლოებით ყოველ საათნახევარში უსმენენ თანამგზავრის რადიოსადგურებს.

* * *

იუჟნო-სახალინსკი, 7 ოქტომბერი. (საქდესი). ამ დღეებში რადიოსადგურების მუშაკები, რადიომოყვარულთა კლუბების, წრეების წევრები რეგულარულად იღებენ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის სიგნალებს. შორეულ აღმოსავლეთში ცნობილი იუჟნოსახალინსკელი მოკლეტალღოსანი არკადი კაში, რომელიც ერთ-ერთი პირველი დაუკავშირდა რადიოთი დაბა მირნის ანტარქტიდაში, ორი დღეღამეა აწარმოებს დაკვირვებას თანამგზავრზე. ამ ხნის განმავლობაში მან თანამგზავრიდან 26-ჯერ მიიღო სიგნალები ერთი საათი და ოცდაათი წუთის და ერთი საათი და ორმოცი წუთის ინტერვალით. მათი ხანგრძლივობა შეადგენს ხუთიდან ორმოცამდე წუთს ბგერის ძალის დამახასიათებელი გაძლიერებით და შესუსტებით. სიგნალების ყველაზე კარგი სმენადობა იყო ხუთ ოქტომბერს ღამით მოსკოვის დროით.

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საოლქო საბჭომ კუნძულზე მოაწყო რადიომოყვარულთა 10 საგუშაგო— პორონაისკში, ოხში, კორსაკოვში, იუჟნო-სახალინსკსა და სხვა ქალაქებში, რომლებიც იღებენ თანამგზავრის სიგნალებს. ალექსანდროვსკელმა რადიომოყვარულებმა მარკოვმა და მეზინმა სიგნალები ჩაწერეს მაგნიტოფონის ფირზე.

* * *

სვერდლოვსკი, 7 ოქტომბერი. (საქდესი). ქალაქ სვერდლოვსკისა და მისი ოლქის რადიომოყვარულნი აქტიურ დაკვირვებას აწარმოებენ დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე. სვერდლოვსკის საოლქო რადიოკლუბში მოწყობილია დაკვირვების სპეციალური პუნქტი, სადაც დადგმულია მოკლეტალღიანი და ულტრამოკლეტალღიანი რადიომიმღებები. მოსკოვიდან აქ ჩამოიტანეს სპეციალური აპარატურა, რომელიც საშუალებას აძლევს რადიომოყვარულთ მიიღონ თანამგზავრის სიგნალები და ჩაწერონ ისინი.

თანამგზავრზე დაკვირვებას აწარმოებს ბევრი სვერდლოვსკელი მოკლეტალღოსანი და ულტრამოკლეტალღოსანი თავის ბინაში. ისინი იყენებენ რადიომიმღებებს, რომლებიც აღჭურვილია სპეციალური მისადგმელ-კონვერტორებით.

რეგულარული მიღება საკონტროლო პუნქტებში სვერდლოვსკელებმა დაიწყეს 5 ოქტომბერს 6 საათიდან და 41 წუთიდან მოსკოვის დროით. ყველა ცნობა სიგნალების შესახებ მიდის საოლქო რადიოკლუბთან სპეციალურად შექმნილ შტაბში, რომელიც კოლექტიური რადიოსადგურით დედამიწის თანამგზავრზე დაკვირვების მასალებს რეგულარულად გადასცემს მოსკოვს.

* * *

ოდესა, 7 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს ოდესის ასტრონომიული ობსერვატორიის მეცნიერმა თანამშრომლებმა დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე დაკვირვებისათვის სპეციალურად მოწყობილ სადგურში დილის 8 საათსა და 40 წუთზე აღნიშნეს თანამგზავრის გავლა ოდესის თავზე. მზის კაშკაშა სინათლემ ხელი შეუშალა მათ დაენახათ იგი აქ დადგმული სამზერი ხელსაწყოების საშუალებით, ხოლო ბგერით სიგნალებს იღებდნენ რვა წუთის განმავლობაში. 10 საათსა და 08 წუთზე რადიოსიგნალები კვლავ მიიღეს, მაგრამ მათი სუსტი სმენადობა მოწმობდა, რომ თანამგზავრი მნიშვნელოვნად დაშორდა ოდესას.

გუშინ და დღეს ასტრონომებთან ერთად თანამგზავრზე აქტიურ დაკვირვებას ეწეოდა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საოლქო რადიოკლუბის ათასობით რადიომოყვარული. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში უკვე გაიგზავნა ხელოვნური თანამგზავრის რადიოსიგნალთა რამდენიმე ჩანაწერი.

თანამგზავრის სიგნალებს რეგულარულად იღებენ

ლვოვი, 7 ოქტომბერი. (საქდესი). უკრაინის დასავლეთ ოლქების ასტრონომებმა და ფიზიკოსებმა ლვოვში მოაწყეს დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე ოპტიკური და რადიოტექნიკური დაკვირვების სადგური, რომელიც ყველაზე დასავლეთით მდებარეობს სსრ კავშირში. იგი ივანე ფრანკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზეა. ცუდი ამინდის გამო თანამგზავრის დანახვა ჯერჯერობით არ მოხერხდა, მაგრამ რადიოსიგნალებს რეგულარულად იღებენ.

თანამგზავრის სიგნალების მისაღებად სადღეღამისო მორიგეობა მოწყობილია აგრეთვე ლვოვის რადიოკლუბში. ყოველ ერთ საათსა და 35 წუთში რადიომოყვარულნი ისმენენ ამ სიგნალებს. უკვე ოცდახუთჯერ ჩაწერეს ისინი კლუბში მაგნიტოფონის ფირზე. რადიოსიგნალებიან ამ ფირს რადიოკლუბში უჩვენებენ მრავალ მნახველს.

სიგნალები მიღებულია პიატიგორსკში

პიატიგორსკი, 7 ოქტომბერი. (საქდესი). გუშინ საღამოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პიატიგორსკის რადიოკლუბის მოკლეტალღიანი სადგურის უფროსმა კრანცოვმა მიიღო რადიოსიგნალები, რომლებიც დედამიწის ხელოვნურმა თანამგზავრმა გადმოსცა თხუთმეტ მეტრ ტალღაზე. 22 საათიდან და 45 წუთიდან სიგნალები ისმოდა ხმამაღლა და გარკვევით, ხოლო შემდეგ სმენადობა თანდათან შესუსტდა და 22 საათსა და 48 წუთზე შეწყდა.

*

„საბჭოთა მეცნიერების ეპოქალური მონაპოვარი“

ბუქარესტი, 6 ოქტომბერი. (საქდესი). დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვებასთან დაკავშირებით რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს გაუგზავნა მისალოცი დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერები განსაკუთრებულ სიხარულს განიცდიან იმ დიდი გამარჯვების გამო, რომელიც საბჭოთა მეცნიერებამ მოიპოვა. ეს საბჭოთა მეცნიერების ეპოქალური მონაპოვარია, რომელიც ამდიდრებს მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის საგანძურს, ახალი და ბრწყინვალე დადასტურებაა მოწინავე ტექნიკისა, რომელიც აქვთ კომუნიზმის მშენებლებს, საბჭოთა კავშირის მეცნიერთა შემოქმედებითი ძალებისა და მეცნიერული გაბედულებისა. სულით და გულით ვულოცავთ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას და მისი მეშვეობით საბჭოთა ხალხს და ყველა საბჭოთა მეცნიერს, ვუსურვებთ ახალ წარმატებებს მათს კეთილშობილურ ბრძოლაში კომუნიზმის აშენებისათვის, კაცობრიობის განუწყვეტელი პროგრესისა და მშვიდობის დაცვისათვის.

გაზეთ „სკინტეიაში“ დაბეჭდილ სტატიაში პროფესორი იოანიდი აღნიშნავს: ამ ბოლო დროს საბჭოთა ტექნიკის უდიდესმა განვითარებამ რაკეტების, დიდი სიჩქარეების აეროდინამიკის, ელექტრონიკის, მეტალურგიისა და მეცნიერების ყველა სხვა დარგში შესაძლებლობა მისცა საბჭოთა მეცნიერებს შეერთებულ შტატებზე ბევრად უფრო ადრე გაეშვათ პირველი თანამგზავრი და ამ მშვიდობიან შეჯიბრებაში მოეპოვებინათ მოწინავე ადგილი. ამრიგად, საბჭოთა მეცნიერებამ მთელი მსოფლიოსათვის გახსნა კარი სამყაროში.

ამ სიგნალებს რომ ვუსმენ, წერს პოეტი დან დეშლიუ, ვფიქრობ, რომ ყველა საოცარ მოვლენაში არის ურღვევი ლოგიკა: ხალხი, რომელმაც 40 წლის წინათ კაცობრიობას დაუსახა ბედნიერების გზა აქ, დედამიწაზე, დღეს გზას ხსნის ვარსკვლავებისაკენ. მოწინავე სტატიაში გაზეთი „სკინტეია“ წერს: ჩვენ, სოციალიზმის მშენებელი ყველა ხალხი, ვამაყობთ, რომ სოციალისტური ქვეყანა ამჯერადაც პირველი იყო და რეალობად აქცია ყველაზე გაბედული გონების ოცნება.

„პირველი ნაბიჯი საპლანეტთაშორისო სივრცეების დაპყრობაში“

ვენა, 6 ოქტომბერი. (საქდესი). ვენის ყველა გაზეთი დიდრონი სათაურებით აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირში წარმატებით გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი: „ტრიუმფი ადამიანის გონებისა, რომელიც მშვიდობის საქმეს ემსახურება“, „რუსებმა მსოფლიო სივრცეში გაუშვეს ხელოვნური მთვარე“, „პირველი ნაბიჯი საპლანეტთაშორისო სივრცეების დაპყრობაში“.

ოფიციოზური „ვინერ ცაიტუნგი“ წერს, რომ „საბჭოთა კავშირის მეცნიერთა და ინჟინერთა გრანდიოზულმა საქმემ უდიდესი, უსაზღვრო სიხარული გამოიწვია მთელ მსოფლიოში...“

„...4 ოქტომბერი, უეჭველია, ერთ-ერთ უდიდეს თარიღად დარჩება მსოფლიო ისტორიაში... ის, რაც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ფანტასტიკურ უტოპიად გვეჩვენებოდა — ადამიანის შეღწევა სამყაროში, მთვარესა და სხვა პლანეტებზე გაფრენა — უცბად იქცა ამჟამად მცხოვრები თაობისათვის ხელშესახებ რეალობად“.

„უკვე დიდი ხანია, — წერს მოწინავე სტატიაში გაზეთი „ნოიეს ესტერრაიხი“, — ორივე დიდი სახელმწიფო მუშაობდა კოსმოსური რაკეტების პროექტზე... რუსები უდავო გამარჯვებულნი აღმოჩნდნენ. აქედან უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ სავსებით ჩაიფუშა ლეგენდა რუსების ტექნიკური ჩამორჩენილობის შესახებ... დასავლეთმა რუსების შეფასებისას ბევრი რამ უნდა ისწავლოს ხელახლა“.

ავსტრიის კომუნისტური პარტიის ორგანო „ფოლკსშტიმე“ მოწინავე სტატიაში წერს: „ქვეყანამ, რომლის სიმბოლო 40 წლის წინათ დასავლეთში იყო ხისკავიანი გლეხი, თავისი ხელოვნური თანამგზავრით პირველი კვალი გაავლო კოსმოსურ სივრცეში, და საბჭოთა კავშირის ეს მეცნიერული და ტექნიკური სიმძლავრე იმის საუკეთესო დადასტურებაა, რომ სოციალიზმს შეუძლია გამარჯვება მოიპოვოს მშვიდობიან ბრძოლაში“.

მსოფლიოს მეცნიერნი აღტაცებული არიან საბჭოთა მეცნიერების მიღწევებით

ვაშინგტონი. 5 ოქტომბერი. (საქდესი). 30 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე ვაშინგტონში მიმდინარეობდა საერთაშორისო კონფერენცია საერთაშორისო გეოფიზიკურ წელს ზემაღლამფრენი რაკეტებისა და დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის საშუალებით მეცნიერული კვლევის საკითხებზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს 13 ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მეცნიერებმა. საბჭოთა დელეგაციამ აკადემიკოს ა. ა. ბლაგონრავოვის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ს. მ. პოლოსკოვისა და ა. მ. კასატკინის შემადგენლობით კონფერენციაზე გააკეთა მთელი რიგი მოხსენებანი, რომლებმაც სხვა ქვეყნების მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვიეს.

საბჭოთა კავშირის მეცნიერთა მოხსენებანი მიეძღვნა სსრ კავშირის გამოკვლევათა პროგრამას საერთაშორისო გეოფიზიკურ წელიწადში, ხელოვნური თანამგზავრებისა და ზემაღლამფრენი რაკეტების გაშვების პრობლემებს და სხვა საკითხებს. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის შესაქმნელად ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოებული მუშაობის შესახებ მეცნიერის დოქტორ ჰეგენის შინაარსიანი გამოსვლის გარდა, ამერიკელ მეცნიერთა მიერ კონფერენციაზე გაკეთებული მეტი წილი მოხსენებები დიდ მეცნიერულ და ტექნიკურ ინტერესს არ წარმოადგენდნენ. კონფერენციის მონაწილეებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა მეცნიერის კასატკინის მოხსენებამ სსრ კავშირში შექმნილი მეტეოროლოგიური რაკეტის შესახებ. სხვა ქვეყნების მეცნიერები გულწრფელად გამოხატავდნენ აღტაცებას საბჭოთა კავშირის მიერ ამ დარგში მიღწეულ წარმატებათა გამო. კასატკინს მოხსენება რამდენჯერმე შეაწყვეტინეს ტაშით. მოხსენებამ აუდიტორიის იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ თავმჯდომარე, რათა საშუალება მიეცა კასატკინისათვის პასუხი გაეცა მიცემულ კითხვებზე, იძულებული იყო ამ სხდომაზე დაგეგმილი ორი სხვა მოხსენება მოეხსნა. კასატკინს კონფერენციის მონაწილეთა კითხვებზე პასუხის გაცემა მოუხდა გვიან ღამემდე.

კონფერენციის მსვლელობაში საბჭოთა მეცნიერებმა სხვა ქვეყნების მეცნიერებთან დაამყარეს საქმიანი კონტაქტები, რომლებიც ხელს უწყობენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მეტ ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას. კერძოდ, საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერები შეთანხმდნენ ურთიერთ თანამშრომლობის შესახებ კვლევის დარგში საერთაშორისო გეოფიზიკურ წელს. მიღწეულ იქნა აგრეთვე მთელი რიგი შეთანხმებანი სხვა ქვეყნების მეცნიერებთან დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის მოძრაობისათვის თვალყურის დევნების შესახებ მისი გაშვების შემდეგ.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ საბჭოთა მეცნიერებმა მოაწყეს დიდი დარბაზობა მისი მონაწილეების პატივსაცემად.

დარბაზობის დროს ამერიკელმა მეცნიერმა დოქტორმა ლოიდ ბერკნერმა სიტყვა ითხოვა და განაცხადა, რომ სსრ კავშირში წარმატებით გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი. ამერიკელი მეცნიერის ამ ცნობას საბჭოთა მეცნიერების ახალი უდიდესი მიღწევის შესახებ მთელი დარბაზი ოვაციით შეხვდა.

მეცნიერება, გონება, სოციალიზმი განუყრელად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი

რომი, 6 ოქტომბერი. (საქდესი). გუშინდელი დღიდან იტალიის მეცნიერული წრეებისა და მთელი საზოგადოებრივი აზრის ყურადღება მიპყრობილია დედამიწის ხელოვნური თანამგზავრისადმი, რომელიც საბჭოთა კავშირმა გაუშვა.

გაზეთი „უნიტა“ 4 გვერდს უთმობს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვებას და იმ გამოხმაურებას, რაც მან მთელ მსოფლიოში გამოიწვია. მოწინავე სტატიაში გაზეთი წერს: „საბჭოთა მეცნიერებმა, რომლებმაც „მეორე მთვარე“ გაუშვეს, არა მარტო გაიმარჯვეს ბუნებასთან შეჯიბრებაში, არამედ ლახვარი ჩასცეს ადამიანის უძლურების მქადაგებლებს, რომლებსაც სურდათ, რომ კაცობრიობა მიჯაჭვული ყოფილიყო წარსულზე.

ჩვენ განვიცდით დიდ, წმიდა, სრულ სიხარულს იმის გამო, რომ კაცობრიობის ამ ისტორიულ ეტაპთან პირველი მივიდა სოციალიზმის ქვეყანა... 40 წლისთავს დღესასწაულობს საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკა, რომელმაც პირველმა შექმნა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი. ჩვენ გვიხარია ეს საბჭოთა ხალხებთან ერთად, კომუნისტურ პარტიასთან ერთად, რომელიც მათ ხელმძღვანელობს, სსრ კავშირის მეცნიერებთან ერთად. მათ კვლავ დაამტკიცეს, რომ სოციალიზმს აქვს უნარი გამოიყენოს კაცობრიობის ყველაზე მოწინავე მემკვიდრეობა და წინ წასწიოს იგი იმ დარგში, რომელიც დღემდე მხოლოდ ადამიანის ოცნებისა და ფანტაზიის დარგი იყო. ჩვენ ეს გვიხარია, როგორც ისეთ ადამიანებს, რომლებსაც სწამთ მეცნიერების, გონებისა და სოციალიზმის უპირატესობა: ახლა ეს ცნებანი, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, განუყრელად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი“.

გაზეთი „ავანტი“ წერს: „ადამიანის უძველესმა ოცნებამ — სამყაროს დანარჩენი ნაწილისაგან მისი იზოლაციის ლიკვიდაციამ — განხორციელება იწყო... 1957 წლის 4 ოქტომბერი კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღია...

უნდა ვაღიაროთ საბჭოთა მეცნიერების პირველობა, რომელიც ჯილდოა დიდმნიშვნელოვანი ტექნიკური და დიდი მასშტაბის ორგანიზაციული ღონისძიებებისათვის“.

ანსას სააგენტო გადმოგვცემს ბოლონიის უნივერსიტეტის ლოიანოს ასტრონომიული სადგურის ცნობას, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვების თარიღი სამახსოვრო იქნება კაცობრიობისა და მეცნიერების ისტორიაში და მოასწავებს საპლანეტთაშორისო სივრცის დაპყრობის პრაქტიკულ ფაზას“.

ბრერის (მილანო) ასტრონომიული ობსერვატორიის თანამშრომელმა პროფესორმა ალბერტო მაზანიმ, კერძოდ, განაცხადა: „სამართლიანად მიმაჩნია, რომ მეცნიერების განვითარებას ასეთი დიდი დადასტურება მოგვცა ქვეყანამ, რომელიც სოციალური განვითარების ავანგარდშია. მხოლოდ მას, ვინც კაცობრიობის პროგრესს მეთაურობს, შეუძლია მეთაურობა გაუწიოს აგრეთვე მეცნიერების პროგრესს“.

ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის მზადება მიმდინარეობს მხატვრული ინტელიგენციის შემოქმედებითი აქტივობის ნიშნით. ამას წინათ გამოქვეყნებული დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტი „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“, რომელიც შეიცავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** გამოსვლების შემოკლებულ შინაარსს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა მიიღეს როგორც მხატვრული შემოქმედების აყვავებისათვის კომუნისტური პარტიის დიდი ზრუნვის ახალი გამოვლინება, როგორც ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში შემოქმედებითი მუშაკების უფრო ქმედითი მონაწილეობისადმი აღმაფრთოვანებელი მოწოდება.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივმა დახმარებამ და ყურადღებამ უზრუნველყო ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის თვალსაჩინო წარმატებანი.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, დიდი აქტივობით განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. **ვ. პ. მჟავანაძის** მოხსენება „ქართულ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის“. კამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ დიდ წარმატებებს ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაში, რომლებიც საქართველოში მიღწეულია კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე, თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის მეოხებით.

თათბირის მონაწილენი აღნიშნავდნენ აგრეთვე შემოქმედებითი ორგანიზაციების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

გამოსულნი ლაპარაკობდნენ თავიანთ მგზნებარე მისწრაფებაზე — პარტია და სამშობლო გაახარონ ახალი წარმატებებით, ახალი ნაწარმოებებით, რომლებიც შესაფერი იქნებიან დიდი ეპოქისა, ყოველმხრივ მოემზადონ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადისათვის, რომელიც მოსკოვში გაიმართება მომავალი წლის მარტში.

საქართველოს მწერლების კავშირის მდივანმა **ს. ჭილაიამ** აღნიშნა, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის.

— იგი მოწვეულია იმ დღეებში, — თქვა მან, — როცა ჩვენ გავიცანით ყოველი ჩვენგანისათვის აღმაფრთოვანებელი გამოსვლები ნ. ს. ხრუშჩოვისა „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“. ეს გამოსვლები ლიტერატორებს მოუწოდებენ მაღლა ეჭიროთ პარტიულობის, ხალხურობის, იდეურობის დროშა. ამ დროშით იზრდებოდა და ვითარდებოდა საბჭოთა ლიტერატურა თავისი ცხოვრებისა და ბრძოლის 40 წლის განმავლობაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართულმა ლიტერატურამ, ისევე როგორც მთელმა ჩვენმა მრავალეროვანმა საბჭოთა ლიტერატურამ, დიდ აყვავებას მიაღწია. მწერლები, რესპუბლიკის ყველა შემოქმედებით მუშაკთან ერთად, ქმედითად ემზადებიან მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის მომავალი დეკადისათვის, რომელიც იქნება ქართული სოციალისტური კულტურის მიღწევათა დათვალიერება. დეკადისათვის გამოიცემა „ქართული პოეზიის ანთოლოგია“, „ქართული პროზის კრებული“, „ქართული დრამატურგიის კრებული“. გამოვა აგრეთვე მწერლებისა და პოეტების ახალი წიგნები. ცალკეული ნაწარმოებნი გამოიცემა ახალი რედაქციით.

ჩვენი თეატრების სცენაზე მაყურებელი ნახავს მთელ რიგ ახალ ორიგინალურ ქართულ პიესებს თანამედროვე თემებზე. საჭიროა, რომ თეატრებმა დადგან ცნობილი ქართველი დრამატურგების შ. დადიანის, პ. კაკაბაძის, ს. შანშიაშვილის საყოველთაოდ აღიარებული პიესები. თეატრების ზოგიერთი ხელმძღვანელი არ ზრუნავს რეპერტუარში ჩვენი დრამატურგების კარგი პიესების შეტანისათვის. მაგალითად, ს. შანშიაშვილმა ჯერ კიდევ ორი წლის წინათ რუსთაველის სახელობის თეატრს წარუდგინა თავისი პიესა „არსენ ჯორჯიაშვილი“. მაგრამ იქ ვერ დააფასეს მისი ღირსებანი. თეატრის წარმომადგენლებთან ერთად მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა განიხილა ეს პიესა და დადებითი შეფასება მისცა. დრამატურგიისადმი უყურადღებო დამოკიდებულების ეს ფაქტი, სამწუხაროდ, ერთეული როდია.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს დრამატურგებთან მუშაობას.

ამხ. მჟავანაძის მოხსენებაში სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანიზატორული როლი და მისი დახმარება მწერალთა შემოქმედებითს მუშაობაში ჯერ კიდევ საკმაო არ არის. ჩვენ სუსტად ვართ დაკავშირებულნი თეატრებთან, კინემატოგრაფიის მუშაკებთან.

ქართველი მწერლები მთელ თავიანთ შემოქმედებითს ენერგიას მიმართავენ ისეთ ნაწარმოებთა შექმნისაკენ, რომლებიც გაამდიდრებენ მშობლიურ საბჭოთა ლიტერატურას და მრავალი მილიონი მკითხველის კუთვნილება გახდებიან.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა **ა. გუნიამ** ილაპარაკა იმაზე, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება უზრუნველყოფს ხალხის ახალ კულტურულ აღმავლობას. ლიტერატურისა და ხელოვნების ბედისათვის უდიდესი ზრუნვით არის გამსჭვალული ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“. ისინი მოუწოდებენ იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს პრინციპულობისაკენ, სიფხიზლისაკენ. კომუნისტურ პარტიას ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები მიაჩნია თავის ერთგულ თანაშემწეებად, საიმედო დასაყრდენად იდეოლოგიურ ბრძოლაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

რესპუბლიკაში, — ამბობს შემდეგ ამხ. გუნია, — ყველგან ფართოდ გაჩაღდა მზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის. ამ მზადებაში მონაწილეობენ კულტურის სასახლეები და სახლები, კლუბები, თეატრები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება.

შემოქმედებით ორგანიზაციებში დიდი აღმავლობაა. მწერლები, მხატვრები, მოქანდაკეები, კომპოზიტორები ქმნიან ახალ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც ეძღვნება სამშობლოს, ხალხს, კომუნისტურ პარტიას.

რესპუბლიკის შემოქმედებითი მუშაკების მთელი საქმიანობა ახლა მიმართული უნდა იყოს იმისაკენ, რომ სანიმუშოდ მოვემზადოთ მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის, რომელიც მოწოდებულია აჩვენოს საქართველოს წარმატებანი კულტურის განვითარებაში. დასახულია დეკადის პროგრამა, რომელშიც შეტანილია ჩვენი შემოქმედებითი მუშაკების საუკეთესო ნაწარმოებნი. მაგრამ კიდევ მეტი მუშაობა მოგველის. დეკადისათვის მზადებაში ჯერ კიდევ ცოტა ნაკლოვანებანი როდია. მაგალითად, თანამედროვე პიესების უმრავლესობა ჩვენი თეატრების რეპერტუარში არ ასახავს ყოველდღიურ კომუნისტურ მშენებლობას, საბჭოთა ადამიანების შრომითს მამაცობას. სახვითი ხელოვნების ოსტატების ნაწარმოებთა შორის ცოტაა ტილოები ქართველი ხალხის ცხოვრებისა და შრომის შესახებ, ისტორიულ რევოლუციურ თემებზე. უნდა მოეწყოს იმ ნაწარმოებთა საზოგადოებრივი განხილვა, რომლებიც დასახულია საჩვენებლად, ამ საქმეში უნდა ჩავაბათ პრესა.

ორატორმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა დადებითი შედეგები მოგვცა შემოქმედებითი ორგანიზაციებისა და კოლექტივების ხელმძღვანელების უფლებათა გაფართოებამ შემოქმედებითი საკითხების გადაჭრაში. მაგრამ ცალკეულმა ხელმძღვანელებმა ვერ გაიგეს გარდაქმნის არსი, მუშაობა თვითდინებას მიანდეს. ახალ პირობებში კონტროლის სათანადო ფორმები ვერ გამონახა ჩვენი სამინისტროს ვერც ზოგიერთმა სამმართველომ, კერძოდ, ხელოვნების საქმეთა სამმართველომ. მომთხოვნელობა შეასუსტა აგრეთვე სამინისტროს კოლეგიამ. ამხ. გუნიამ სწორად ცნო კულტურის სამინისტროს მუშაობის კრიტიკა, რასაც შეიცავდა ამხ. მჟავანაძის მოხსენება, და თათბირს აღუთქვა, რომ აღნიშნული ნაკლოვანებანი აღმოფხვრილ იქნება.

მწერალ **კ. გამსახურდიას** გამოსვლაში ლაპარაკი იყო კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის მუდმივ ზრუნვაზე ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის, რომელიც ლიტერატორებს აღაფრთოვანებს ჩვენი ეპოქის შესაფერ ნაწარმოებთა შექმნისათვის. მან ილაპარაკა, რომ პარტიის გადაწყვეტილებანი მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების შესახებ ხელსაყრელ პირობებს უქმნიან აგრეთვე ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ აყვავებას. საჭიროა, რომ საქართველოს მწერალთა კავშირმა უფრო გაბედულად წამოაყენოს და გადაჭრას ქართული ლიტერატურის განვითარების საკითხები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. გამსახურდიას გამოსვლა შეიცავდა მთელ რიგ მცდარ დებულებებს, რომლებიც გააკრიტიკეს თათბირის მონაწილეებმა. მის სიტყვაში თავი იჩინა შემოქმედებითი ინტელიგენციისადმი პარტიის დამოკიდებულების არასწორმა გაგებამ. ჩვენი პარტია ინტელიგენციას ანდობს ყველაზე ძვირფასსა და დიდმნიშვნელოვანს — ხალხის სულიერ აღზრდას. ამ მაღალ ნდობას საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენცია ღირსეულად ამართლებს.

მან აგრეთვე სათანადოდ ვერ შეაფასა ჩვენი მიღწევანი რესპუბლიკის სამეურნეო მშენებლობის, ინდუსტრიული განვითარების დარგში, რომლებიც მწერლებისა და ხელოვნებისათვის შემოქმედებითი აღფრთოვანების უშრეტ წყაროს წარმოადგენენ. სწორი არ იყო ორატორის მსჯელობა თეატრების, გამომცემლობათა მუშაობაზე, რომელთა საქმიანობაში მან მხოლოდ ჩრდილოვანი მხარეები დაინახა.

თბილისის რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის დირექტორმა **პ. კანდელაკმა** თავის გამოსვლაში უმთავრესად ილაპარაკა თეატრის დამსახურებასა და მიღწევებზე. მართლაც, თეატრის მთელმა რიგმა სპექტაკლებმა ფართო აღიარება ჰპოვეს და საბჭოთა თეატრალური ხელოვნების ოქროს ფონდში შევიდნენ. მაგრამ თეატრის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლია, რომლებსაც გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. მის რეპერტუარში ჯერ კიდევ მთავარი ადგილი არ დაუკავებიათ მაღალიდეურ და დიდად მხატვრულ სპექტაკლებს თანამედროვე თემებზე. უკვე ახლანდელი სეზონის დასაწყისში თეატრმა დადგა ვ. გაბესკირიას სუსტი, იდეურად მანკიერი პიესა „გურიის მთები დაუთოვია“.

ამხ. კანდელაკს არაფერი არ უთქვამს იმაზე, თუ რას აპირებს თეატრის ხელმძღვანელობა იმისათვის, რომ განამტკიცოს შემოქმედებითი თანამშრომლობა წამყვან ქართველ დრამატურგებთან, გააუმჯობესოს რეჟისორთა კოლეგიის საქმიანობა, აამაღლოს თეატრის სამხატვრო საბჭოს როლი.

— აფხაზეთის შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, — თქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა **ი. თარბამ**, — დიდი კმაყოფილებით მიიღო ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, მსახიობები დიდი აღფრთოვანებით ემზადებიან დიდი ოქტომბრის 40 წლისთავისათვის, თბილისში აფხაზეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის მომავალი დეკადისათვის.

სოხუმის სახელმწიფო თეატრი აფხაზური და ქართული დრამის დადგმით უჩვენებს პრემიერებს ჩვენი სამშობლოს გმირულ წარსულზე, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის აფხაზეთის მშრომელების ბრძოლაზე. გამოიცა ახალგაზრდა აფხაზი დრამატურგების ნაწარმოებთა კრებული. აფხაზეთის მუსიკალური კულტურის წარმატებითი განვითარების მაჩვენებელია მოსკოვში აფხაზური სიმღერების კრებულის გამოშვება. აფხაზური სიმღერების დამუშავებაში დიდი შრომა მიუძღვით კომპოზიტორებს ა. ბალანჩივაძეს, გ. ჩხიკვაძეს, დ. შვედოვსა და სხვებს.

შემოქმედებითი აღმავლობაა მწერალთა მოღვაწეობაში. აფხაზური ლიტერატურის შემდგომი აყვავებისათვის პარტიის ზრუნვის მკაფიო გამოვლინებაა ორი ახალი ჟურნალის „ალაშარის“ და „ამცაბზის“ გამოცემა აფხაზეთში.

კომპოზიტორმა **ა. მაჭავარიანმა** განაცხადა, რომ ქართული ხელოვნების პირველი დეკადის შემდეგ, რომელმაც საბჭოთა კავშირის დედაქალაქის საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება მოუტანა ჩვენს მუსიკალურ ხელოვნებას, ქართველმა კომპოზიტორებმა ახალი მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიღწევები ქართული სიმფონიური და კამერული მუსიკის განვითარების დარგში. მაგრამ ეს არ შეიძლება ვთქვათ საოპერო ჟანრზე. ჩვენი კომპოზიტორების მიერ შექმნილი ოპერები, უმეტეს შემთხვევაში მუსიკალურად ვერ აკმაყოფილებენ საბჭოთა ადამიანების გაზრდილ მოთხოვნებს.

როგორც აღნიშნული იყო ამხ. მჟავანაძის მოხსენებაში, არის ჩამორჩენა მასობრივი სიმღერების, საესტრადო მუსიკალურ ნაწარმოებთა შექმნაში. ხალხი ჩვენგან, კომპოზიტორებისაგან, მოითხოვს დასამახსოვრებელ, ხალისიან სიმღერებს.

ორატორმა ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების, ჩვენი მდიდარი მუსიკალური მემკვიდრეობის პროპაგანდას. ამას ხელს შეუწყობდა მუსიკალური კულტურის მუზეუმის მოწყობა თბილისში. მას საჭიროდ მიაჩნია ბავშვთა შემოქმედებითი ნიჭის, მათი ესთეტიკური გემოვნების განვითარებისათვის სკოლებში შემოღებულ იქნას მუსიკისა და ხატვის სწავლება.

დრამატურგმა **მ. მრევლიშვილმა** აღნიშნა, რომ ქართულმა დრამატურგიამ შექმნა ბევრი კარგი პიესა, რომლებიც პოპულარულია ჩვენს რესპუბლიკაში და აღიარება მოიპოვეს მთელ საბჭოთა კავშირში. ქართველი დრამატურგების მიერ დაწერილმა პიესებმა — მ. ბარათაშვილის „ჭრიჭინამ“, გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელმა“, ქ. ბუაჩიძის „მკაცრმა ქალიშვილებმა“ გზა გაიკვლიეს მოძმე რესპუბლიკების თეატრების სცენაზე. უახლოეს დროში მოსკოვში უჩვენებენ გ. ბერძენიშვილის პიესას „ლერწამი ქარში“.

ორატორმა გააკრიტიკა რეპერტუარის შედგენის არსებული პრაქტიკა. მას მიაჩნია, რომ არ შეიძლება ახალი პიესების შეტანა რეპერტუარში მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ახლებია, თუ მათი მხატვრული ღირსება საეჭვოა. საჭიროა მეტი დახმარება გავუწიოთ ახალგაზრდა დრამატურგებს მათს შემოქმედებითს მუშაობაში.

საჭიროა მჭიდრო ურთიერთობა დამყარდეს მწერალთა კავშირის დრამატურგთა სექციასა და თეატრებს შორის. შეხვედრების, განხილვის დროს უფრო ხშირად და გაბედულად უნდა გავაკრიტიკოთ ერთმანეთი. საჭიროა ერთად ვიბრძოლოთ ახალი მაღალიდეური, მაღალმხატვრული პიესებისა და სპექტაკლების შექმნისათვის, რომლებიც ასახავენ გმირი საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლას.

პროფესორმა **ა. ფაღავამ** თავისი გამოსვლა მიუძღვნა რესპუბლიკის თეატრების მუშაობას. მან თქვა, რომ მაყურებელთა განუწყვეტლივ მზარდი მოთხოვნილებანი გვავალებენ უფრო გულმოდგინედ ვიმუშაოთ სპექტაკლების იდეური და მხატვრული დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

თეატრებში ჯერ კიდევ არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება თანამედროვე თემებზე დაწერილი პიესების დადგმას. სპექტაკლებში, რომლებიც ასახავენ თანამედროვეობას, ზოგჯერ არ იღებენ მონაწილეობას საუკეთესო, წამყვანი მსახიობები, ამ სპექტაკლებს ხშირად დგამენ ახალგაზრდა რეჟისორები, რომლებსაც არ მოეპოვებათ საკმაო გამოცდილება.

საჭიროა გაუმჯობესდეს სათეატრო კადრების მომზადების საქმე. დიდ სარგებლობას მოგვიტანდა სტუდიის შექმნა, სადაც მსახიობები 3-4 წლიწადს იმუშავებდნენ თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, გაიუმჯობესებდნენ იქ სასცენო ოსტატობას.

ტრიბუნაზეა მწერალი **ა. ბელიაშვილი**. იგი ამბობს:

— ჩვენმა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა ლიტერატურამ შექმნა ბევრი ძვირფასი ნაწარმოები, რომლებშიც მკაფიოდ აღბეჭდილია ჩვენი ხალხის შრომა და საგმირო საქმენი, კომუნისტური პარტიის დიდი შთამაგონებელი როლი.

პარტიის XX ყრილობაზე გაკრიტიკებულ იქნა პიროვნების კულტი, რომელიც ხელს უწყობდა ყოველგვარი პანეგირიკის, მამებლობის გავრცელებას ხელოვნებასა და ლიტერატურაში, ცხოვრებასთან კავშირის შესუსტებას. ამან საბჭოთა ლიტერატურაში შექმნა უკონფლიქტობის თეორია.

რა თქმა უნდა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იმ პერიოდში ჩვენს ლიტერატურაში არაფერი არ კეთდებოდა. როგორც ომისწინა წლებში, ისე დიდი სამამულო ომის წლებში და მის შემდეგ დაიწერა ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები. მაგრამ ჩვენი საბჭოთა ადამიანების, ჩვენი შესანიშნავი ეპოქის დიდი შემოქმედებითი საქმეების ასახვა მწერლებმა მთლიანად ვერ უზრუნველყვეს, ჩვენ, ლიტერატორები, ხალხის წინაშე ვალში აღმოვჩნდით.

უკანასკნელ წლებში ლიტერატურულ ცხოვრებაშიც მეტად მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი ცვლილებები მოხდა. შეიქმნა პირობები მხატვრული შემოქმედების კიდევ უფრო აყვავებისათვის, საბჭოთა ლიტერატურის ახალი აღმავლობისათვის.

ამხ. ბელიაშვილი აღნიშნავს, რომ ლიტერატურის წარმატებით განვითარებისათვის საჭიროა ყოველი მწერალი თვითონ იდგეს დიდ მორალურ სიმაღლეზე, მწერლების წრეში აღმოიფხვრას ის ნაკლოვანებები, რომელთა წინააღმდეგ ისინი უნდა იბრძოდნენ თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებში.

ორატორი ლაპარაკობს იმ დიდ შრომასა და უდიდეს თავდადებაზე, რომელიც მწერალს მოეთხოვება ჩვენი ეპოქის შესაფერის ნაწარმოებთა შექმნისათვის. იგი მოაგონებს დამსწრეთ მ. შოლოხოვის სიტყვებს მწერალთა მეორე ყრილობაზე: „...უმჯობესია ვბრწყინავდეთ წიგნებით და არა მედლებით“ და მოუწოდებს ბოლო მოეღოს ფავორიტიზმს, ტაბელ რანგების შესახებ, ლიტერატურული ნაწარმოებნი შეფასდეს არა ავტორის სახელის მიხედვით, არამედ ობიექტურად, მართლად და პატიოსნად.

სიტყვა ეძლევა კინორეჟისორ **ს. დოლიძეს**.

— ჩვენ, — ამბობს იგი, — დიდი ყურადღებით მოვისმინეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. მჟავანაძის მოხსენება ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მდგომარეობისა და მორიგი ამოცანების შესახებ. საბჭოთა კინომუშაკები ენერგიულად იბრძვიან იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დაუსახა კინემატოგრაფიას. გამოცოცხლებაა ქართული კინემატოგრაფიის საქმიანობაშიც. ამ ბოლო დროს იგი საბჭოთა საზოგადოებრიობის წინაშე წარსდგა ახალი მხატვრული სურათებით. სასიხარულოა, რომ ჩვენ მიერ გამოშვებული ფილმებიდან ბევრი გულთბილად მიიღო მაყურებელმა. ჩვენმა მაყურებელმა არა მარტო გაიხსენა ძველი ოსტატები, არამედ აგრეთვე გაიცნო ახალი მსახიობები და რეჟისორები, რომლებიც კინოში მოვიდნენ უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე.

სტუდია „ქართული ფილმი“ ახლა ყოველწლიურად უშვებს 5-6 სურათს. მომავალში წარმოება აყვანილ უნდა იქნას 10 ფილმამდე წელიწადში. სტუდიის შემოქმედებითმა კოლექტივმა უნდა შეასრულოს ეს პროგრამა და მთავარი ყურადღება მიაქციოს გამოშვებული ფილმების იდეურ-მხატვრული დონის გაუმჯობესებას. წამყვანი უნდა იყოს დღევანდელი დღის თემატიკა.

პოეტმა **ა. მირცხულავამ** განაცხადა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებში ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე სამართლიანად ხაზგასმულია, რომ ჩვენი ლიტერატურა პარტიულობის ლენინური პრინციპის გამომხატველია. ჩვენთვის, საბჭოთა მწერლებისათვის, სწორედ მხატვრული ნაწარმოების იდეურობა, მისი პოლიტიკური სიმახვილე და პარტიული პრინციპულობა ნიშნავს შემოქმედებითს თავისუფლებას.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურას დიდი მიღწევები აქვს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ქართველ მწერალთა მოწინავე ნაწილი პრინციპულ იდეურ ბრძოლას ეწეოდა მავნე ლიტერატურულ დაჯგუფებათა წინააღმდეგ, ნამდვილად ხალხური ლიტერატურის დამკვიდრებისათვის. კომუნისტური პარტიის იდეური ხელმძღვანელობით მწერალთა მოწინავე ნაწილის გარშემო დარაზმნენ ქართული საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლები. ჩვენი ლიტერატურა მუდამ მხარდამხარ მისდევდა პარტიას, ხალხს.

მაინც ამ ბოლო დროს, ამბობს ამხ. მირცხულავა, ჩვენს ლიტერატურაში არის გმირული პათოსის ერთგვარი დაქვეითება. იგი ჯეროვანი ძალით და მკაფიობით ვერ ასახავს ჩვენი ხალხის საქმეების მთელ სიდიადეს. ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალი ურიგდება უიდეობის გამოვლინებას. ახალგაზრდა ქართველ მწერალთა მოვალეობაა განაგრძონ უფროსი თაობის საუკეთესო ტრადიციები. მარტო ისეთ ლიტერატურას შეუძლია დაიმსახუროს მკითხველის აღიარება, რომელიც რეალისტურად ასახავს ჩვენს გმირულ თანამედროვეობას.

ორატორმა გააკრიტიკა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, რომელიც ხშირად განზე უდგას ლიტერატურული ცხოვრების საარსებო საკითხების გადაჭრას. მან აგრეთვე აღძრა საკითხი, რომ მოწესრიგდეს გამომცემლობათა, „საქწიგნის“ მუშაობა, რომლებიც სუსტად ეწევიან წიგნის პოპულარიზაციას და დროზე ვერ აწვდიან მას მკითხველს.

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის თავმჯდომარემ **უ. ჯაფარიძემ** აღნიშნა, რომ პარტიისა და მთავრობის ზრუნვის მეოხებით გაიფურჩქნა ქართული სახვითი ხელოვნება. ახლა ჩვენი მხატვრები, მოქანდაკეები, გრაფიკოსები დიდი აღმავლობით ემზადებიან სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენისათვის, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს მიეძღვნება, და გამოფენისათვის, რომელიც შეუფარდდება ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მომავალ დეკადას მოსკოვში. მხატვართა კავშირმა და რესპუბლიკურმა საგამოფენო კომიტეტმა განიხილეს ათასზე მეტი ნაწარმოები. 300-მდე მათგანი გაგზავნილია მოსკოვში.

ჩვენს წინაშე, მხატვრების წინაშე, — ამბობს იგი, — ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი ამოცანაა. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მომხსენებლისა და სხვა ორატორთა სამართლიანი შენიშვნები, რომ საჭიროა შევქმნათ მეტი მაღალმხატვრული ტილოები ჩვენი გმირული თანამედროვეობის შესახებ და ისტორიულ-რევოლუციურ თემებზე.

სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, — თქვა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების მდივანმა **ფ. გაგლოევმა**, — ცდილობენ უფრო ღრმად შეისწავლონ და შეიცნონ ხალხის მრავალფეროვანი, მჩქეფარე ცხოვრება. საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაზრდილი ოსი მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, მსახიობების ნიჭიერი კადრები თავდადებით ემსახურებიან ხალხს, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, სოციალისტურ სამშობლოს. ოსეთის ხელოვნებასა და ლიტერატურას ჯერ არასოდეს არ განუცდია ისეთი აღმავლობა, როგორიც ახლა, დიდი ოქტომბრის მეორმოცე წელს.

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა კულტურის ზრდას მოწმობს ის ფაქტი, რომ უკანასკნელი 25 წლის მანძილზე იქ გამოშვებულია დაახლოებით 1.200 სახელწოდების წიგნი. დიდი მუშაობა შესრულდა და სრულდება ოსურ ენაზე მოძმე ხალხთა მწერლების ნაწარმოებთა თარგმნისათვის.

დრამატურგი **ს. შანშიაშვილი** შეეხო თეატრისა და დრამატურგის ურთიერთობის საკითხს. მან აღნიშნა თეატრების ხელმძღვანელთა ფორმალური, გულგრილი დამოკიდებულების შემთხვევები დრამატურგების მიმართ. ის პიესებიც კი, რომელთაც ფართო პოპულარობა მოიპოვეს, ხშირად, უსაფუძვლოდ არ შეაქვთ რეპერტუარში. ს. შანშიაშვილმა ილაპარაკა თავის შემოქმედებით მუშაობაზე ახალი პიესების შესაქმნელად.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **ა. ხორავამ** ილაპარაკა იმ სახელოვან გზაზე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში განვლო ქართულმა თეატრმა. მან აღნიშნა, რომ ქართულ თეატრს მუდამ ახასიათებდა მისწრაფება უბრალოებისადმი, გულწრფელობისადმი, ცხოველმყოფელობისადმი, გაბედული ნოვატორობა, მაღალი რომანტიკული ტემპერამენტი.

ამხ. ხორავამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა თეატრის კოლექტივის უფრო მჭიდროდ დარაზმვა, მთელ მის მუშაობაში სცენის ძველი ოსტატებისა და თეატრალური ახალგაზრდობის შემოქმედებითი ძალების სწორი შეხამება. თეატრში შექმნილი არ არის ვითარება ნაყოფიერი შემოქმედებითი თანამშრომლობისათვის და, მისი აზრით, ამ საკითხში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს და რუსთაველის სახელობის თეატრის დირექციას არ უკავიათ პრინციპული პოზიცია.

მაგრამ ამხ. ხორავას არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ რას აკეთებს თვითონ იგი — წამყვანი მსახიობი თეატრის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

უხუცესი ქართველი მწერლისა და დრამატურგის **შ. დადიანის** გამოსვლაში აღძრული იყო თეატრის შემოქმედებითი სახისა და რეპერტუარის საკითხი. მთელ რიგ შემთხვევებში რეპერტუარის შედგენა ხდება მოუფიქრებლად, გათვალისწინე[illegible] გემოვნება და მოთხოვნილება. ჯეროვნად არ აფასებენ ჩვენს დიდ საკუთარ დრამატურგიულ მემკვიდრეობას, ჩვენს დროში შექმნილ ნაწარმოებებს. ჩვენი თეატრების რეპერტუარის საფუძველს უნდა შეადგენდნენ ქართველ დრამატურგთა ორიგინალური პიესები. საჭიროა გამოვიყენოთ და განვავითაროთ ქართული რეალისტური თეატრის მდიდარი ტრადიციები მისი შემდგომი აყვავებისათვის.

საჭიროა, რომ სცენა ნახონ იმ პიესებმა, რომლებიც მოწონებულ იქნენ რესპუბლიკურ კონკურსებზე. ეს აღაფრთოვანებს ახალგაზრდა დრამატურგებს, ხელს შეუწყობს მათს შემოქმედებითს ზრდას.

შემდეგ ამხ. დადიანი ამბობს, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით განმტკიცდეს თეატრების შემოქმედებითი თანამშრომლობა დრამატურგებთან, აქტიურად იქნას ჩაბმული თეატრალური საზოგადოება თეატრების რეპერტუარის შედგენაში.

კრიტიკოსმა **ბ. ჟღენტმა** აღნიშნა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე გამანადგურებელ ლახვარს სცემს რევიზიონისტულ ცდებს საეჭვო გახადონ ჩვენი საბჭოთა კულტურის ისტორიული მიღწევები, პიროვნების კულტის კრიტიკის ალმით წაშალონ უდიდესი მუშაობა, რომელიც ჩვენმა მწერლებმა და ხელოვნების მუშაკებმა გასწიეს.

საქართველოს მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მოღვაწე გამსჭვალული არიან პატრიოტული მისწრაფებით ამრავლონ ქართველი ხალხის წვლილი მთელი საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის საგანძურში.

ამხ. ჟღენტმა ილაპარაკა ქართული ლიტერატურული კრიტიკის ამოცანებზე, მისი ძირითადი ნაკლია გაუბედაობა, კომპრომისები იქ, სადაც საჭიროა ბოლშევიკური პრინციპულობა. მან გააკრიტიკა ზოგიერთი პოეტი იმისათვის, რომ ისინი ცოტას ქმნიან ეპიკურ ნაწარმოებებს, რომლებიც გამოხატავენ ჩვენი ხალხის მისწრაფებებს, გვიჩვენებენ ჩვენი საბჭოთა ცხოვრების წესის უპირატესობას.

შესამჩნევია სერიოზული გამოცოცხლება ქართულ პროზაში. გამოცემულია მთელი რიგი რომანები, რომლებშიც ნიჭიერად ასახულია ჩვენი საბჭოთა ცხოვრება, ხალხის შემოქმედებითი შრომა. მაგრამ ჩვენი მწერლები ჯერ კიდევ ცოტას ქმნიან დიდ პროზაულ ტილოებს, რომლებშიც მკაფიოდ იქნება ასახული საბჭოთა ადამიანების ცხოვრება.

— ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია, — თქვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **ა. ვასაძემ**, — აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა საზოგადოების შემოქმედებითს საქმიანობაში, ერთგულად ემსახურება თავის ხალხს.

ორატორმა აღძრა თეატრების მუშაობის მთელი რიგი საარსებო საკითხები. კერძოდ აღნიშნა, რომ რუსთაველის სახელობის თეატრის სარეჟისორო კოლეგიაში არ არის ჯეროვანი კოლეგიალობა. თეატრის დირექცია ყოველთვის როდი უგდებს ყურს სამხატვრო საბჭოს აზრს. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო სერიოზულად არ ზრუნავს იმისათვის, რომ თეატრები დააკომპლექტოს რეჟისორებით. ისეთი თეატრების კოლექტივებსაც კი, როგორიც არიან რუსთაველის სახელობის, მარჯანიშვილის სახელობის, გრიბოედოვის სახელობის თეატრები, არა ჰყავთ მთავარი რეჟისორები.

სამწუხაროდ, ამხ. ვასაძის გამოსვლაში არ იყო ასახული საკითხი, თუ რას აკეთებენ რუსთაველის სახელობის თეატრის წამყვანი ოსტატები იმისათვის, რომ შეინარჩუნონ მისი შემოქმედებითი სახე, გამოიყენონ თავიანთი მდიდარი გამოცდილება უძველესი ქართული თეატრის სახელის გასამრავლებლად, მაყურებლის მზარდ სულიერ მოთხოვნილებათა უკეთ დასაკმაყოფილებლად.

თათბირზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ**. მან აღნიშნა, რომ თათბირმა ცხადყო საქართველოს შემოქმედებითი მუშაკების პოლიტიკური სიმწიფე, საქმიანობა და პრინციპულობა. ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები პარტიულად, სახელმწიფოებრივად ზრუნავენ ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მდგომარეობისათვის.

შეეხო რა ცალკეულ გამოსვლებს თათბირზე, ამხ. მჟავანაძემ გააკრიტიკა მწერალ კ. გამსახურდიას სიტყვის მცდარი დებულებანი.

ამხ. მჟავანაძემ რწმენა გამოთქვა, რომ საქართველოს მწერლები, მხატვრები, მოქანდაკეები, მსახიობები, კინოს მუშაკები, მთელი შემოქმედებითი ინტელიგენცია კვლავაც განუხრელად განავითარებენ ქართველი ხალხის ფორმით ეროვნულ და შინაარსით სოციალისტურ კულტურას. ეჭვი არ არის, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს და ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადას ახალი შემოქმედებითი წარმატებებით შეხვდებიან.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც აღუთქვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კომუნისტური პარტიისა და ხალხის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენცია კვლავაც თავდადებით იშრომებს იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XX ყრილობამ დასახა. (საქდესი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესია

ბატონ ლოჯს შეცდომაში შეჰყავს ასამბლეის დელეგატები

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საქტესი). დღეს გენერალური ასამბლეის XII სესიაზე საბჭოთა დელეგაციამ დელეგაციებში და პრესისათვის გაავრცელა შემდეგი განცხადება:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესიაზე საბჭოთა დელეგაციის განცხადება

30 სექტემბერს ბ-ნმა ლოჯმა, შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გენერალური ასამბლეის XII სესიაზე, სიტყვა წარმოთქვა რა გენერალურ კომიტეტში, განაცხადა, თითქოს საბჭოთა კავშირი „სულაც არ მალავდეს, რაც არაერთხელ გამოამჟღავნა ბ-ნმა ხრუშჩოვმა, რომ მას არა სურს მშვიდობიანი თანაარსებობა შეერთებულ შტატებთან". ამ სრულიად უსაფუძვლო განცხადების დასადასტურებლად ბ-ნმა ლოჯმა დაიმოწმა სიტყვები, რაც ნ. ს. ხრუშჩოვს თითქოს ეთქვას 1956 წლის 17 ნოემბერს.

ბ-ნ ლოჯის ასეთი მტკიცება სინამდვილეს არ შეესაბამება. ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე მხარს უჭერდა და მხარს უჭერს მშვიდობიან თანაარსებობას ყველა სახელმწიფოს შორის, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წესწყობილებისა. ეს ეხება შეერთებულ შტატებსაც. საბჭოთა კავშირმა სხვა სახელმწიფოებთან თავისი ურთიერთობის მთელი პრაქტიკით დაამტკიცა, რომ სურს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობას საფუძვლად დაუდოს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები.

ის სიტყვები, რაც ნ. ს. ხრუშჩოვს თითქოს ეთქვას 17 ნოემბერს („ჩვენ დაგასამარებთ თქვენ"), როგორც ამას ბ-ნი ლოჯი ამტკიცებს, იმ მოცლილ ადამიანთა მოჩმახულია, ვისაც დავალებული აქვს, რადაც უნდა დაუჯდეს, ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

ნამდვილად, სიტყვაში, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმოთქვა 1956 წლის 17 ნოემბერს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად კრემლში გამართულ დარბაზობაზე, ნათქვამი იყო სხვა რამ, რაც ბ-ნ ლოჯს შეეძლო გაეგო 1956 წლის 18 ნოემბრის საბჭოთა პრესიდან.

„საბჭოთა მთავრობა, — განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა 17 ნოემბერს, — დაუცხრომლად იბრძოლებს მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. ამ პოზიციის ახალი დადასტურებაა საბჭოთა მთავრობის დღევანდელი განცხადება შეიარაღების შემცირებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხზე. ჩვენ ყოველი ღონისძიებით ვიბრძოლებთ მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის და თანმიმდევრულად განვახორციელებთ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას".

პოლონეთის მოსკოვის საელჩოში 18 ნოემბერს გამართულ დარბაზობაზე თავის მეორე გამოსვლაში, რაც პრესაში 19 ნოემბერს გამოქვეყნდა, ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა: „არ შეიძლება იყოს ასეთი საკითხი — საჭიროა თუ არა სხვადასხვა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობა. თანაარსებობა იმის აღიარებული ფაქტია, რაც უკვე არსებობს. ჩვენ ვეუბნებით კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლებს: თუ გსურთ, შეგიძლიათ იაროთ ჩვენთან სტუმრად, თუ არა გსურთ, შეგიძლიათ არ იაროთ. ეს მაინცდამაინც საწყენად არ დაგვრჩება. მაგრამ თანაარსებობა ჩვენთვის აუცილებელია. თქვენზე ხომ არ არის დამოკიდებული ის ფაქტი, რომ მოხდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომ არსებობს საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა მთელი სისტემა. ასეთია საზოგადოებრივი განვითარების კანონი, ამასთან ეს კანონი ჩვენს სასარგებლოდ მოქმედებს. ჩვენ, ლენინელები, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საზოგადოებრივი წყობილება — სოციალიზმი საბოლოო ანგარიშით გაიმარჯვებს კაპიტალიზმზე, ასეთია კაცობრიობის ისტორიული განვითარების ლოგიკა".

შეეხო რა ამავე თემას 1957 წლის 28 მაისს ამერიკელ კორესპონდენტებთან საუბარში (გამოქვეყნებულია საბჭოთა პრესაში 4 ივნისს), ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა: „თუ ჩვენ ვამბობთ, რომ გაიმარჯვებს ჩვენი წყობილება, ე. ი. გაიმარჯვებს სოციალიზმი, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენს წყობილებას თავს მოვახვევთ ვისმეს ომით. ღმერთმა დაგვიფაროს! ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი გაიმარჯვებს და დაეუფლება ხალხთა გონებას. მაგრამ ყოველი ქვეყნის წყობილება უნდა დამყარდეს ისეთი, როგორიც ამ ქვეყნის ხალხს სურს. სხვა გზას ჩვენ ვერ ვხედავთ და ჩვენს იდეებს თავს არ ვახვევთ არავის".

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ურთიერთობას შეერთებულ შტატებთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვაგონოთ ამერიკის წარმომადგენელს სიტყვები, რაც ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა იმავე საუბარში ამერიკის რადიოტელევიზიის კომპანია „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის" კორესპონდენტებთან 1957 წლის 28 მაისს.

„მე მიმაჩნია, — განაცხადა მაშინ ნ. ს. ხრუშჩოვმა, — რომ მთავარია ურთიერთობის ნორმალიზაცია ქვეყნებს შორის და, უწინარეს ყოვლისა, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. ნორმალიზაცია მე ასე მესმის—საჭიროა მოიხსნას ბარიერები ვაჭრობის დარგში. საჭიროა დავიწყოთ ვაჭრობით. თქვენ უნდა მოსპოთ თქვენი „რკინის ფარდა" და, ბოლოს, არ უნდა გეშინოდეთ საბჭოთა მზარეულებისა, როდესაც ისინი წამოვლენ ამერიკაში; ისინი იქ რევოლუციას არ მოახდენენ. საჭიროა ვაწარმოოთ კულტურული დელეგაციების გაცვლა; საჭიროა მეტი კონტაქტი ჩვენს ხალხებს შორის, საქმიან ადამიანებს შორის. მე მიმაჩნია, რომ ეს მთავარია. ჯერჯერობით თქვენ ახლა ახორციელებთ დისკრიმინაციას, არა გსურთ ივაჭროთ ჩვენთან. თქვენს პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებზეც ეს დამოკიდებულია, მიაჩნიათ, რომ ამით ზიანს აყენებენ კომუნიზმს. მაგრამ თქვენ ხედავთ, რომ ეს ჩვენ მეტად მცირე ზიანს გვაყენებს, პირიქით, ეს გვაიძულებს ვაწარმოოთ პროდუქცია, რომელიც შეგვეძლო თქვენგან გვეყიდნა, თქვენ კი ამით მოიგებდით. ახლა კი ჩვენ თვითონ ვაწარმოებთ ამ პროდუქციას და მივდივართ წინ. ეს კვლავაც ასე იქნება.

მაგრამ ასეთი დამოკიდებულება ჩვენდამი ამძაფრებს ატმოსფეროს, აუარესებს ურთიერთობას და ქმნის ნერვულობას მსოფლიოში, შესაძლებლობას აძლევს წონასწორობამოკლებულ ადამიანებს სპეკულაცია გასწიონ ომით, იმუქრებოდნენ ომით. ეს ძალიან მავნეა. ხალხებს სურთ სიმშვიდე, მშვიდობა, სურთ იცხოვრონ ისე, როგორც უნდა ცხოვრობდეს ადამიანი. ჩვენ ვისწრაფვით უზრუნველვყოთ ეს პირობები და ყოველივეს ვაკეთებთ ჩვენი მხრივ, რათა უზრუნველვყოთ მშვიდობიანი თანაარსებობა სამეურნეო ცხოვრების სხვადასხვა წყობის მქონე ქვეყნებს შორის, ე. ი. კაპიტალისტურ ქვეყნებსა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის".

„ჩვენ ძალიან გვსურს მშვიდობა და მეგობრობა ამერიკელ ხალხთან. ჩვენ გვსურს მეგობრობა არა იმისათვის, რომ ჩვენი ორი ძლიერი სახელმწიფო გაერთიანდეს სუსტთა წინააღმდეგ, ჩვენ გვსურს მეგობრობა იმიტომ, რომ თუ გვექნება კარგი, მეგობრული ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან, ამით მოიგებენ ყველა სხვა ქვეყნის ხალხებიც".

ნ. ს. ხრუშჩოვის აქ მოყვანილი ნამდვილი სიტყვებიდან ჩანს, რომ ბ-ნ ლოჯის მტკიცებანი სრულიად უსაფუძვლოა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ჩინეთში

შანხაი, 6 ოქტომბერი. (საქტესი). დღეს დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ყოფნა შანხაიში. დელეგაციის წევრები, რომლებიც ჯგუფებად დაიყვნენ, ეწვივნენ საზომი ხელსაწყოების ქარხანას „დახუას", მატყლისსართავ, ფარმაცევტულ და სხვა ფაბრიკებს.

საბჭოთა დელეგაციის მეთაური ა. ბ. არისტოვი იყო ქარხანა „ხუაფუში", რომელიც აწარმოებს ავტომატურ კალმისტარებს, რეზინისა და ტრიკოტაჟის ფაბრიკებში.

საბჭოთა სტუმრებს ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდნენ მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივები. ამხ. ა. ბ. არისტოვი გამოდიოდა მუშების წინაშე, ესაუბრებოდა მათ წარმოების საკითხებზე, ეკითხებოდა მათი ცხოვრების შესახებ.

ნაშუადღევს დელეგაცია და მისი თანმხლები პირები გაემგზავრნენ ხანჯოუში — ჯეძიანის პროვინციის მთავარ ქალაქში.

ხანჯოუ, 6 ოქტომბერი. (საქტესი). დღეს ხანჯოუში ჩამოსულმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციამ ნავებით გაისეირნა სიხუს ტბაზე, რომელიც მდებარეობს ქალაქის დასავლეთ ნაწილში. ამ იშვიათი სილამაზის ტბის კუნძულებზე საბჭოთა სტუმრები გაეცნენ ისტორიულ ძეგლებს — ჩინელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი შრომის შედეგს.

საღამოს ჯეძიანის პროვინციის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ შა ვენ-ხანმა დელეგაციის პატივსაცემად გამართა ბანკეტი, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს შა ვენ-ხანმა და ა. ბ. არისტოვმა.

ხანჯოუ, 7 ოქტომბერი. (საქტესი). დღეს ხანჯოუში მყოფი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ჯეძიანის პროვინციის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის შა ვენ-ხანის თანხლებით ეწვია საქარგავ ფაბრიკა „დუნტინშენს". განთავისუფლებამდე ფაბრიკაში იყო 120 მუშა სახალხო ხელისუფლების წლებში საწარმო მნიშვნელოვნად გაიზარდა. ახლა აქ მუშაობს 1.850 კაცი წლითიწლობით იზრდება ფერადი აბრეშუმის ნაქარგის გამოშვება. წელს საწარმოს წარმადობა 1953 წელთან შედარებით გაიზარდა 90 პროცენტით.

მუშებთან გამოთხოვებისას დელეგაციის მეთაურმა ა. ბ. არისტოვმა აღტაცება გამოთქვა მათი მაღალი ოსტატობის გამო და სახსოვრად აჩუქა საბჭოთა ხელმარჯვეების ნაწარმი — პალეხელ ოსტატთა გაკეთებული ყუთი.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია იყო ხანჯოუს ჩაის ფაბრიკაში, რომელიც უმაღლესი ხარისხის ჩაის უშვებს. მიმდინარე წელს ფაბრიკის წარმოების მოცულობა შეადგენს 500 ტონა ჩაის.

თქვენი წარმატებანი, თქვა ამხანაგმა ა. ბ. არისტოვმა ფაბრიკის მუშათა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში, ახარებს არა მარტო ჩინელ ხალხს, არამედ აგრეთვე საბჭოთა ხალხს. საბჭოთა კავშირი მადლობელია ჩინეთისა მისი დახმარებისათვის, კერძოდ, ჩაისათვის. ჩვენ მოხარული ვართ, რომ საბჭოთა დახმარება ჩინეთისადმი ხმარდება მთელი სოციალისტური ბანაკის კეთილდღეობას.

ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა სახელით დირექტორმა ვან ძიუნ-ჩენმა საბჭოთა სტუმრებს განუცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარების პასუხად ფაბრიკის კოლექტივი განუწყვეტლივ გაადიდებს ნაყოფიერებას, გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

საბჭოთა სტუმრები დღეს გაეცნენ აგრეთვე ქალაქ ხანჯოუსა და მისი მიდამოების ღირსშესანიშნაობებს.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პარიზი, 6 ოქტომბერი. (საქტესი). საფრანგეთში გრძელდება მთავრობის კრიზისი, რაც გამოწვეულია ბურჟეს-მონურის მთავრობის გადადგომით. როგორც ცნობილია, რესპუბლიკის პრეზიდენტმა რენე კოტიმ სოციალისტური პარტიის ლიდერს გი მოლეს დაავალა მთავრობის შედგენა. მაგრამ, როგორც პარიზის რადიო იუწყება, პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებთან სამი დღის კონსულტაციის შემდეგ გი მოლემ დღეს პრეზიდენტს უარი განუცხადა მთავრობის შედგენაზე.

პარიზი, 7 ოქტომბერი. (საქტესი). დღეს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რენე კოტიმ „წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირის" ლიდერს რენე პლევენს დაავალა სცადოს ახალი მთავრობის შედგენა.

გერმანელი ხალხის დიდი დღესასწაული

ბერლინი, 7 ოქტომბერი. (საქტესი). დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელნი აღნიშნავენ გერმანიის მუშათა და გლეხთა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის მე-8 წლისთავს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი ბერლინი სადღესასწაულოდ არის მორთული.

დედაქალაქის თეატრებში, საკონცერტო დარბაზებსა და კლუბებში დღეს გაიმართება სადღესასწაულო კონცერტები ხაზღოვანი წლისთავის აღსანიშნავად. ქალაქის დემოკრატიული სექტორის ცენტრალურ მოედანზე მარქს-ენგელს-პლაცზე გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა.

ბერლინის დემოკრატიული პრესა იუწყება მშრომელთა ჯგუფის ეროვნული პრემიებით და ორდენებით დაჯილდოების, რესპუბლიკის ბევრი მოქალაქისათვის შრომის გმირის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

დღეს დილით ტრეპტოვ-პარკში გვირგვინებით შეამკეს ბერლინისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი. გვირგვინებით შემკობას დაესწრნენ ერთიანი სოციალისტური პარტიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელი მოღვაწეები, დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, ბერლინის ათასობით მშრომელი. დამსწრეთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი.

გვირგვინებით შეამკეს აგრეთვე გერმანიის მუშათა მოძრაობის მებრძოლთა ძეგლი ბერლინის ფრიდრიხსფელდის სასაფლაოზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატისა და მხარეთა პალატის გაერთიანებული სხდომა

ბერლინი, 7 ოქტომბერი. (საქტესი). დღეს ბერლინში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატისა და მხარეთა პალატის გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე განიხილეს ორივე პალატის ყველა ფრაქციის წინადადება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის რწმუნებათა ვადის განგრძობის შესახებ.

ამ წინადადების დასასაბუთებლად გამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ოტო ნუშკე. ორივე პალატამ პირველი და მეორე წაკითხვით ერთხმად დაადგინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ვილჰელმ პიკს რწმუნებათა ვადა გაუგრძელდეს 4 წლით.

მდგომარეობა ომანში

ბეირუთი, 7 ოქტომბერი. (საქტესი). როგორც გაზეთი „ალ-შარქი" იუწყება, მანამიდან (ბაჰრეინი) მიღებული ცნობით, ომანის აჯანყებული ტომები მთელ რიგ რაიონებში შეტევაზე გადავიდნენ. ბრძოლების შედეგად, აღნიშნავს გაზეთი, ინგლისელთა ჯარის ერთი ნაწილი მთლიანად მოსპობილია. აჯანყებულებმა ააფეთქეს იარაღისა და საომარი მასალის დიდი საწყობები.

გაზეთი აღნიშნავს, რომ აჯანყებულებმა ტყვედ ჩაიგდეს ბევრი ინგლისელი ჯარისკაცი.

სურათზე: მოსკოვის ტრანსპორტის ცენტრალური თეატრის მსახიობები თბილისის ვაგზალზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

* * *

მოსკოვის ტრანსპორტის ცენტრალური თეატრის გასტროლები თბილისში

გუშინ სოჭიდან თბილისში ჩამოვიდა მოსკოვის ტრანსპორტის ცენტრალური თეატრის კოლექტივი. დილით თბილისის ვაგზალზე თავი მოიყარეს დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, საწარმოთა მოწინავე ადამიანებმა.

ვაგზლის მოედანზე სახელდახელო მიტინგი გაიმართა. მოსკოვის ტრანსპორტის ცენტრალური თეატრის კოლექტივის წევრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახელით კომპოზიტორმა შ. მშველიძემ და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სახელით კომპოზიტორმა ი. გოკიელმა. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ტრანსპორტის ცენტრალური თეატრის მთავარმა რეჟისორმა რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. გოლდფელდმა.

მოსკოვის ტრანსპორტის ცენტრალურ თეატრს საგასტროლო რეპერტუარში აქვს შემდეგი სპექტაკლები: ც. სოლოდარის სამმოქმედებიანი კომედია „სიყვარული, დირექტორი და ბინა", ლ. პეკის სამმოქმედებიანი დრამა „ღამის სტუმარი" და ჯ. გორდონის სამმოქმედებიანი დრამა „ენტონი გრეჰემის დანაშაული".

გუშინ საღამოს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში მოსკოვის ტრანსპორტის ცენტრალურმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა საგასტროლო რეპერტუარის პირველი სპექტაკლი — ც. სოლოდარის კომედია „სიყვარული, დირექტორი და ბინა".

მომთხოვნი ქართველი მაყურებლის წინაშე

დიადი ამბებით აღსავსე სასიხარულო დღეებს განიცდის საბჭოთა ხალხი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის შესახვედრად ემზადება.

განხორციელდა კაცობრიობის ყველაზე გაბედული ოცნება: უჰაერო სივრცეში მიჰქრის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც საბჭოთა ადამიანების გენიამ შექმნა.

მზიანი საქართველოს მთების მწვერვალებიდან არქტიკის დათოვლილ სივრცეებამდე ცხოვრობს და შრომობს საბჭოთა ადამიანი, რომელიც თავისი შრომით სახელს უხვეჭს სამშობლოს.

ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებას დასახული აქვს კეთილშობილური ამოცანა: ეპოქის შესაფერ ნაწარმოებებში ასახონ საბჭოთა ხალხის შესანიშნავი საგმირო საქმეები. ამისათვის საჭიროა დაუცხრომლად განვამტკიცებდეთ ლიტერატურისა და ხელოვნების კავშირს ცხოვრებასთან, ვცხოვრობდეთ და შემოქმედებას ვწეოდეთ ხალხისათვის.

მოსკოვის ტრანსპორტის ცენტრალური თეატრის კოლექტივი, საბჭოთა ხელოვნების ყველა მუშაკთან ერთად, მთელ თავის ძალებს მოახმარს იმას, რომ მისი შემოქმედებითი პრაქტიკა უპასუხებდეს ჩვენი მაყურებლის სამართლიან მოთხოვნებს.

თეატრი წელს იყო უკრაინაში, წარმატებით დაამთავრა გასტროლები ქალაქ-კურორტ სოჭში. ჩვენი უკანასკნელი ნამუშევრებით დიდი მღელვარებით წარვდგებით მომთხოვნი თბილისელი მაყურებლის სამსჯავროს წინაშე, რომელსაც შესაძლებლობა აქვს ტკბებოდეს ისეთი შესანიშნავი მსახიობების თამაშის ცქერით, როგორიც არიან საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ვ. ანჯაფარიძე, ა. ხორავა და ა. ვასაძე.

ჩვენ პირველად ჩამოვედით საქართველოს მშვენიერ დედაქალაქში ძალიან მოკლე ხნით — სულ ექვსი დღით. თეატრის კოლექტივისათვის ეს დიდი და სასიხარულო ამბავია, მით უმეტეს, რომ თეატრი მალე დაამთავრებს მუშაობას ქართველი დრამატურგის გრ. ბერძენიშვილის პიესაზე „ლერწამი ქარში" და მოსკოველებს უჩვენებს სპექტაკლს, რომლისთვისაც მუსიკას წერს კომპოზიტორი შ. მშველიძე.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი პირველი შეხვედრა გულწრფელი შემოქმედებითი მეგობრობის საწინდარი იქნება.

ვ. გოლდფელდი,
თეატრის მთავარი რეჟისორი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

სპორტის ამბები

◆

მოსკოვის „დინამო" — სსრ კავშირის ჩემპიონი

მოსკოვში დამთავრდა წყალბურთელთა უძლიერესი კოლექტივების დასკვნითი ასპარეზობა სსრ კავშირის პირველობაზე.

შეხვედრები ჩატარდა მაღალ სპორტულ დონეზე. დიდი ინტერესი გამოიწვია ლიდერის — მოსკოვის „დინამოსა" და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდების შეხვედრამ. მძაფრი სპორტული ბრძოლა დამთავრდა ფრედ 4:4.

დედაქალაქის დინამოელებმა 47 ქულა შეაგროვეს და ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. მეორე ადგილზე გამოვიდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი, რომელიც გამარჯვებულს მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩა. თბილისის „დინამომ" მეექვსე ადგილი დაიკავა.

გადამწყვეტი შეხვედრები კალათბურთში

მოსკოვი. 7 ოქტომბერი. გუშინ აქ დაიწყო კალათბურთში სსრ კავშირის პირველობის გათამაშების დასკვნითი მატჩები ვაჟთა გუნდებისათვის. პირველი დღის შეხვედრათა შედეგები ასეთია: რიგის საოლქო სპორტული კლუბის გუნდი — „სპარტაკი" (მოსკოვი) 81:57, „დინამო" (მოსკოვი) — სვერდლოვსკის გუნდი 78:72, „სპარტაკი" (რიგა) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 71:58, „ბურევესტნიკი" (კიევი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 70:65.

მოსკოვი. 8 ოქტომბერი. კალათბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურნირის მეორე დღეს 7 ოქტომბერს თბილისის დინამოელები შეხვდნენ რიგის „სპარტაკს" და მოიგეს მატჩი ანგარიშით 71:52. დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: ცსკმო — „ჟალგირისი" (კაუნასი) 45:55, „დინამო" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (კიევი) 68:58, „სპარტაკი" (მოსკოვი) — „კალევი" (ტარტუ) 74:69.

ამავე დღეს რიგის კალათბურთელებმა დაამარცხეს ლენინგრადის „ბურევესტნიკი".

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

გორის საფეიქრო კომბინატის დირექცია აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ინდივიდუალური მომზადებისათვის შემდეგი სპეციალობით: საორფებელი, საგრეხი, საქსოვი და სართავი.

სწავლის ხანგრძლივობა ერთი თვიდან სამ თვემდე.

მიიღებიან მდედრობითი სქესის მარტოხელა მოქალაქენი 18 წლიდან 25 წლამდე. მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებელი ბინით და სტიპენდიით 260 მანეთის რაოდენობით თვეში.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ კომბინატის დირექციის სახელზე.

განცხადებების მიღება 25 ოქტომბრამდე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ კომბინატის კადრების განყოფილებას შემდეგი მისამართით: ქ. გორი, საფეიქრო კომბინატი, კადრების განყოფილება.

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობაზე:

ქიმია-ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორი ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიაში — 1 განაკვეთი.

პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის გამგე-პროფესორი ან დოცენტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე უნდა შეიტანონ განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისა და ხარისხის მინიჭების დიპლომების პირები, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, სამეცნიერო შრომების სია, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან.

განცხადების შეტანის ვადაა 10 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

მისამართი: ქ. ქუთაისი, კიროვის ქ. № 55.

მოქალაქე ვახტანგ ანდრიას-ძე ხუბუტიამ, მცხოვრებმა მელიქიშვილის ქ. № 39, აღძრა საქმე ი. ნიკოლაძის შესახვევი № 6 მცხოვრებ მოქალაქე ზეინაბ შალვას ასულ გოცაძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლო.

კულაშის ზოოტექნიკური-სავეტერინარო ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1958 სასწავლო წლისათვის დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე I და III კურსებზე. ტექნიკუმი ამზადებს უმცროს ზოოტექნიკოსებსა და ვეტტექნიკოსებს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

ზოოტექნიკური და ვეტერინარული პროფილის I კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები (განურჩევლად ასაკისა, სწავლების ხანგრძლივობა 5 წელი), ხოლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები ზოოტექნიკური და ვეტერინარული პროფილის III კურსებზე (სწავლების ხანგრძლივობა 3,5 წელი).

ხუთოსნები ორივე პროფილზე ჩაირიცხებიან უგამოცდოდ, დანარჩენები კი აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი: ქართულ ენაში (ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი, წერა კარნახით).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში: ქართულ ენაში (ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), მათემატიკაში (წერა, ზეპირი).

კონკურსის გარეშე მიიღებიან: ა) საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი, ბ) სამამულო ომის მონაწილენი.

დაუსწრებელი სწავლების კურსდამთავრებულებს უფლება ენიჭებათ სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებლებში საერთო წესით.

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარადგინონ განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: მოწმობა განათლების შესახებ (დედანი), ავტობიოგრაფია, სამი შემოწმებული ფოტოსურათი (3X4), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა და დახასიათება მუშაობის ადგილიდან, ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

განცხადების მიღება წარმოებს 20 ოქტომბრამდე. მისაღები გამოცდები 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე.

შორეული რაიონებიდან ტექნიკუმში შემსვლელთ შეუძლიათ მისაღები გამოცდები ჩააბარონ კულაშის ზოოტექნიკური-სავეტერინარო ტექნიკუმის დირექციის ნებართვით მის სამუშაო ადგილთან მახლობელ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში.

შენიშვნა: სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 28 აპრილის № 556 დადგენილებით დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე შემსვლელთ გამოცდების ჩასაბარებლად სამსახურიდან ეძლევათ შვებულება 10 დღის ვადით, ხელფასის შეუნარჩუნებლად.

სასწავლებლის მისამართი: სამტრედია, სოფელი კულაში, ზოოვეტერინარული ტექნიკუმი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის (მეცნიერებათა დოქტორის ან მეცნიერებათა კანდიდატის) თანამდებობაზე გამოყენებითს ზოოლოგიაში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ დირექტორის სახელზე: განცხადება, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხის და წოდების შესახებ საბუთების შემოწმებული პირები, საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო ნაშრომების სია და რეცენზიები მათზე.

კონკურსის ვადაა 30 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 15, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი.

თელავის ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლის დირექცია აცხადებს, რომ სკოლაში მსმენელთა მიღება გაგრძელებულია ა. წ. 1 ნოემბრამდე. (სკოლაში მიღების პირობები იხილეთ გაზეთ „კომუნისტში", 1957 წლის 21 აგვისტო, № 197).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს მუშაკები იუწყებიან
ნინო სპირიდონის ასულ ბერიშვილი-კაჭახიძის
გარდაცვალებას.

57-ე საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი იუწყებიან
პლატონ დიმიტრის-ძე ობოლაძის
გარდაცვალებას.

შვილები გიგო, ალექსანდრე, სოფიო, ზაქარია, რძლები ტასო, ნაზი, სალომე ოჯახებით იუწყებიან
ნინო ზაქარიას ასულ ფხოველიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-X სიღნაღში, გამოსვენება ბინიდან, შაუმიანის ქ. № 42.

საქართველოს ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა საზოგადოება იუწყება საზოგადოების სოხუმის ფილიალის თავმჯდომარის
დიმიტრი ივანეს-ძე მიმინოშვილის
გარდაცვალებას.

შვილები აგრაფინა, ქენია, ქეთო, სარდიონ, როზა, რძლები ნუნუ, ჟინო, სიძეები ლ. ჯამბურია, მ. დუდუჩავა, ს. ჯოლია ოჯახებით იუწყებიან
ეკატერინე უჩანას ასულ ჯანჯღავას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-X, 8 ს. გამოსვენება 12-X, 4 ს. ბინიდან, კიროვის ქ. № 18.

მეუღლე ვიქტორ, შვილები როზა, კლარა, გია; მაკრინე კილასონია ოჯახით იუწყებიან
ნინო ივანეს ასულ კაჭარავას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12-X, 8 ს. გამოსვენება 13-X, 4 ს. ბოჭორიშვილის ქ. № 39.

დედა პასიკო, შვილი გურამ, ძმები მიხეილ, ანტონ, დები ლუბა, მედეა, სიძე ვ. ნარმანია, რძლები ქენია, მანია ოჯახებით იუწყებიან
ვერა ექვთიმეს ასულ კვირიკაშვილი-თადუმაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-X, 8 ს. გამოსვენება 10-X, 5 ს. ბინიდან, ორჯონიკიძის ქ. № 74.

ძმები ვარდენ, ვლადიმერ, ვარლამ, ნიკოლოზ, დები ვერა, ოლია, ანა, ალექსანდრა, მარო, ელენე, ნინო კაკაბაძეები იუწყებიან
შუშანა ონისიმეს ასულ კაკაბაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11, 12-X, 8 ს. გამოსვენება 13-X, 4 ს. ძნელაძის ქ. № 26.

საქართველოს კპ ლენინის რაიკომი და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკები იუწყებიან
ნინო კირილეს ასულ სუპატაშვილი-ახვლედიანის
გარდაცვალებას.

მეუღლე სოფიო, შვილები ვასილ, ვარვარა, ელენე, ვახტანგ, არჩილ ოჯახებით იუწყებიან
ივანე გიორგის-ძე მაისურაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-X, 8 ს. გამოსვენება 10-X, 5 ს. პლეხანოვის პროსპ. №65.

დედა თამარ, დები დალი, ენდი, ძმა ემილ იუწყებიან
მადონა ანდრიას ასულ ზარქუას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-X ს. გეგეჭკორში.

უე 03526 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.